12

1965

140
1965





# ვის უხარია

ნაზი კილასონია

ვის უხარია ახალი წელი,
გულისფანცქალით ნეტავ ვინ ელის?
ამის პასუხი არ არის ძნელი:
ახალწელს მთელი სამყარო ელის.
ახალწელს ელის კაციც და ქალიც,
მზეცა და მთვარეც, წვიმაც და ქარიც,
ახალწელს ელის პატარაც, დიდიც,
ცელქი ბიჭუნაც, ბაბუაც მშვიდი.
ახალწელს ელის ყველა და ყველა,
ვინაც სიცოცხლით ფეთქავს და ღელავს.
ახალი წელი ახარებს ხარატს,
ინჟინერს, ექიმს, ზეინკალს მღარავს,
ის, ვინც აშენებს ჩვენს ლამაზ მხარეს—
ზეიმით ხვდება ახალწლის ღამეს.
ახალწელს გასცქერს ნორჩების დედა
და მშვიდობიან მომავალს ხედავს.
ახალწელს ელის ჩვენი ბებიაც,
სამზადისში რომ დასთენებია.

კიდევ ვის ხიბლავს ახალი წელი,
ან მისალოცად ვინ გზავნის წერილს?
ვინ შემორტყმია ნაძვის ხეს რკალად,
ციგით ვინ უვლის დათოვლილ ქალაქს?
თქვენა და თქვენა, ჩემო ბავშვებო,
გხედავთ ბრწყინვალე ნაძვის გარშემო.
გხედავთ ციგებით, გხედავთ გუნდებით,
გხედავთ, სკოლიდან გუნდად ბრუნდებით.
მაგრამ... ის ერთი: ნეტავ, რას დარდობს,
რატომ ბრუნდება სკოლიდან მარტო?
რად არ დაირბენს დათოვლილ ქალაქს,
ან აცრემლებულ თვალებს რად მალავს?
რად მალავს, ნეტავ, ნიშნების ფურცელს,
ან საწოლისკენ რად მიდის უცებ?
სახლში კაშკაშებს ნაძვი ჩახჩახა,
«შენც მიმღერეო»—ნაძვმა გასძახა.
ის კი ჩერდება ოთახში მარტო.
დარდობს? რას დარდობს?.. «ორიანს» დარდობს.





9768

# ახალი წელი

მხატვარი ზურაბ ფორჩხიძე

მსა აღარ ხიბლავს ახალი წელი,
დარდი აქვს ძველი, ნიშანიც—ძნელი;
აი, ახალ წელს ვინ აღარ ელის,
ვინ არ ჩაგვკიდა მეგობრებს ხელი.



მოდით, ბავშვებო, მივიდეთ მასთან,
მივხედოთ იმის წუხილს და დარდსაც!...
ვუსურვოთ, ამ კარგ ახალწლის დამდეგს,—
ძველ წელს ატანდეს «ორებს» და დარდებს.
მივალთ და გულში ჩავეხუტებით,
დღიური ჰქონდეს სავსე «ხუთებით!»
ჰოდა, იცინის ქვეყანა დიდი,
გაბრწყინებულა ცისკარი მშვიდი.
ერთად ვართ ყველა, და ერთად ველით,—
როგორ თენდება ახალი წელი!

[illegible]

საქართველოს ალკკ ცენტრალური
კომიტეტისა და ვ. ი. ლენინის სახელობის
ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის
რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური
სასურათო ჟურნალი

პიონერი

12 · დეკემბერი · 1965
გამოცემის XXXIX წელი.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

რახანია დამთავრდა არდადეგები. დასრულდა პიონერული ზაფხული. პიონერები მშობლიურ სკოლებს დაუბრუნდნენ, მაგრამ ზაფხულში ნახული და განცდილი დიდხანს, დიდხანს არ დაავიწყდებათ. ამას წინათ რედაქციას ეწვია თბილისელი პიონერი ნანა ლეკვეიშვილი და თავისი დღიურები გადმოგვცა. ნანას, ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა სასახლის ნორჩ ალპინისტებთან ერთად, ზაფხულში მონაწილეობა მიუღია ლაშქრობაში, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ დენიზა გოზალიშვილი, ლიდია პაიჭაძე, ექიმი თამარ ნინიძე და ალპინისტი ვანო წიკლაური.

გზადაგზა ნანა დღიურებს წერდა.



# ცხრა მთა გადავიარეთ

5 აგვისტო.

დილის 9 საათზე შევიკრიბეთ პიონერთა სასახლის წინ. პირველად მივდივარ ლაშქრობაში და ძალიან ვღელავ. მე ყველაზე პატარა ვარ, ამიტომ ყველა მეფერება, ნანიკოს მეძახიან, რადგან ჩვენთან დიდი ნანა სუმბაძეც არის.

ჯვრის მონასტერთან არაგვი მტკვარს უერთდება. ჩვენი მარშრუტიც არაგვს მიჰყვება. ჟინვალთან მანქანა ჩერდება. აქ ფშავის არაგვი დიდ არაგვს უერთდება. გზას განვაგრძობთ, გზადაგზა ყოველი ღირსშესანიშნავი ძეგლისა და ადგილის შესახებ დეიდა დენიზა გვიყვება...

6 აგვისტო.

ჩვენ მთიულეთში ვართ. აქედან გუდამაყრის ხეობა იწყება. ხეობა ძალზე ლამაზია. საამო სანახავია მწვანე ტყით დაფარული, ცამდე აზიდული მთები და მშფოთვარე შავი არაგვი. მთის კორწოხებზე აქა-იქ სოფლებია გაშენებული. ფერდობებზე ხალიჩასავით დაფენილა ნათესები, წინ სულ ახალ-ახალი სურათები იშლება.

სოფელ გამთან გზა მდინარის მარცხენა ნაპირზე გადადის, ხოზომდე ადის და მერე ჩოხისკენ მიემართება. სოფელ ჩოხის მდებარეობამ, მისმა გარემომ ყველა მოგვხიბლა. გავჩერდით სკოლის შენობაში, რომელსაც შესანიშნავი მწვანე ეზო აქვს. ღამე გარეთ გვეძინა.

7 აგვისტო.

დილით რომ გამეღვიძა, ყველაფერი ნისლში იყო გახვეული. მალე ნისლი გაიფანტა. ჩვენს წინ, მაღალი მთის ფერდობზე სოფელი ათნობია. არც კი გვჯერა, რომ იქ ადამიანი ცხოვრობს, ყველაფერი თითქოს ცაშია გამოკიდული. მეორე მთის ფერდობზე კი სოფელი დუმაცხოა. ყველანი იქ ასვლაზე ვოცნებობთ, იმდენად წარმტაცია მისი მდებარეობა. ამ ორ სოფელს დიდი ხევი ჰყოფს ბოსლისწყლით, რომელიც ჩოხში არაგვს უერთდება. ჩვენთან მალე ჩოხელი ბიჭები მოდიან და ვუმეგობრდებით მათ. ესენი არიან ივანე და მიხო ჩოხელები. ამ სოფელში, სადაც 4 კომლია, და ზემო ჩოხშიც, სულ ჩოხელების გვარი ცხოვრობს. აი, კოლმეურნეობის კანტორა, რომელსაც პაპა ვასილი დარაჯობს. მან ბევრი საინტერესო რამ ჩაგვაწერინა ადგილობრივ გეოგრაფიულ სახელებზე. მაგალითად, სოფელ დუმაცხოს ეს სახელი იმიტომ დარქმევია, რომ ცხვრის დუმის ფორმა აქვს. ხოლო იქ, სადაც ახლა სოფელი

ხოზოა, ძველად თურმე ტყე ყოფილა, სადაც საჭმელად გამოსადეგი მცენარე ხოზო იზრდებოდა. შემდეგ ეს ტყე გაიჩეხა, სოფელს კი ხოზო დაერქვა.

ჩვენმა მორიგეებმა დილიდანვე ფიჩხი დააგროვეს, ცეცხლი დაანთეს და გემრიელი კერძებით გაგვიმასპინძლდნენ.

### 8 აგვისტო.

გადავედით მდინარის გაღმა და ფერდობს ავუყევით დუმაცხოსაკენ. მთელი სოფელი გამოიშალა ბანებზე ჩვენს შესახვედრად. ყველა გვიღიმის. ვესალმებით, გვესალმებიან.

ვათვალიერებთ ძველებურ, ბანიან, ჭრელბოძებიან სახლებს. ვეცნობით კარაქის დღვების, შალის ქსოვის წესებს. მოხუცი აფციაური გვიჩვენებს აშ სოფლელი გმირი მჭედლის პაპო აფციაურის ნაკეთებ ქვაბს, საკიდელსა და სხვა იარაღებს. ვიწერთ ხალხურ ლექსს პაპო აფციაურის გმირობაზე.

ჩოხში რომ ჩამოვედით, ხატის სანახავად წავედით. ხატს—ერთ პატარა შენობას უწოდებენ, რომელიც ზანზალაკებითა და სხვადასხვა რქებით არის შემკული. ამ ხატს ლამაზი სახელი —პირიმზისა ჰქვია. ხატს უკან ლამაზი ტყეა, რომელიც წმიდა ადგილად ითვლება. აქ ხატობის დღეს თავს იყრიდა ხალხი. მიხო ჩოხელმა თავისი ცხენი მოგვიყვანა. საკვირველად ჭკვიანი ცხენია. ჩვენ დიდხანს დავქროდით ამ ცხენით.

### 9 აგვისტო

დილის 8 საათზე მზად ვიყავით. ბარგითა და პროდუქტებით კარგად დატვირთული ცხენები წინ წავიდნენ, მათთან გაჰყვნენ ცხენების პატრონები, ნოდარი და თემური. ბურსაჭირის გადასასვლელისაკენ გავუდექით გზას. ჯერ მდინარის მარცხენა ნაპირს გავყევით, ხშირად გვიხდებოდა ფეხზე გახდა. ვიწრო ბილიკი მთის ფერდობს აუყვა. მივდივართ ხანმოკლე შესვენებებით. გავიარეთ 7-8 კმ. გამოჩნდა კლდის წვერზე სათვალთვალო ციხე-კოშკი, რომელსაც ვანისთავი ჰქვია. არაგვის მარჯვენა ნაპირზე სოფელი ბურსაჭირია. აქედან კარგად მოჩანს გადასასვლელისაკენ მიმავალი გზა.

არაგვზე პატარა ხიდით გადავედით და აღმართს შევუდექით. სოფლის თავზე ცივი წყაროა. აქ გავჩერდით სასაუზმოდ. აქედან კარგად ჩანს როგორ უერთდება ბურსაჭირის არაგვი შავ არაგვს, რომელიც სათავეს ჭიუხებში იღებს. სათავეში შავი ფილაქნები და ქვიშაქვა ადვილად იშლება და არაგვს შავ ფერს აძლევს.

მზემ დააცხუნა. ჩვენი ბიჭები კინოოპერატორსაც ეხმარებიან და, თუ ვინმეს გაუჭირდა აღმართში, მის ბარგსაც იკიდებენ. გადავწყვიტეთ გზის შემოკლება და ბილიკიდან გადავუხვიეთ. აქ გზა აღარ არის, კლდის ნაშალს სვენებ-სვენებით მივყვებით. აღმართს ავათავებთ, მაგრამ გზას ბოლო არ უჩანს, ქვევით თვალუწვდენელი ხრამია.

ბოლოს ვაკეზე გავედით და ჩვენს წინ საოცარი სილამაზის სურათი გადაიშალა, — გამოჩნდა ცამდე აზიდული თეთრი მყინვარწვერი, ფეხი კი მწვანე ხალიჩაზე გვიდგას. ალპური ყვავილების სურნელება ჰაერში იფანტება. მთიული მწყემსები მოდიან, გვესაუბრებიან, ცივი წყლით გვიმასპინძლდებიან. ჩვენც აქ ვისვენებთ. გაავდრების გვეშინია, თორემ ღამესაც აქ გავათევდით...

ნახევარსაათიანი შესვენების შემდეგ ცხენებს ბარგი ავკიდეთ და დავეშვით. ახლა დაღმართი დაიწყო, მთიულეთიდან ხევში ვეშვებით.

მალე წავადექით ცხვრის ფარეხს. აქ მოხევე მწყემსები ცხვარს კრეჭდნენ დიდი მაკრატლებით. ძალიან დაგვაინტერესა, ყოველი ჩვენგანი პირველად ხედავდა ცხვრის გაკრეჭვას.

ბილიკი კვლავ ქვევით მიდის. მოხევე გოგონა მთის გიჟმაჟ მდინარეზე გადასასვლელ ფონს გვასწავლის. ზევიდან ჩანს ხევში ჩაწოლილი თოვლი — ოლოთოვლს გადნობა ვერ მოუსწრია, მაგრამ მდინარეს გზა მაინც გაუკვალავს.

ფერდობები თავდება და ჩვენ გაშლილ ხეობაში გავდივართ. მარჯვნივ დიდი მდინარე ჯუთა მოდის და ქვევით თერგს უერთდება. ესეც სნოს ხეობა. გვიძნელდება მდინარეზე გადასვლა. მოგვეშველნენ კარკუჩელი ბიჭები, რომლებიც აქ ცხვარს მწყემსავენ.

ეს დღე ყველაზე საინტერესო იყო.

### 10 აგვისტო.

მშვენიერი სოფელია კარკუჩა, ხალხიც არაჩვეულებრივად სტუმართმოყვარე. ზოგს ცხელი რძე მოაქვს, ზოგი კი ცხელი პურებით გვიმასპინძლდება. საღამოთი კარკუჩელებთან სიმღერა და ცეკვა-თამაში გავაჩაღეთ.

### 11 აგვისტო.

კვლავ გზაში ვართ. უკან ვბრუნდებით, ჯუთისკენ ავდივართ. სოფელ ჯუთაში ვათვალიერებთ სახლებს, ვეცნობით ხევსურების ყოფა-ცხოვრებას.

აი, ჭაუხებიც. ასეთი ლამაზი კლდეები არსად მინახავს. იგი პირველად ინგლისელ ქალს იულია კამერონს დაუპყრია, მოხევე ნიკო ქირიკაშვილთან ერთად, შემდეგ—ორჯონიკიძეს, ზოლოტარიოვისა და ანტონოვიჩს, 1943 წელს კი—ალიოშა ჯაფარიძის ჯგუფს, რომელშიც ჩვენი დეიდა დენიზაც მონაწილეობდა. ჭაუხებს მრავალი ლამაზი მწვერვალი აქვს. ალბათ, ჩვენც ვეწვევით მათ.

ჭაუხების მწვერვალებს საავდრო ღრუბელი გადაეფარა. უკან ვბრუნდებით, მაგრამ ჭექა-ქუხილი გზაში გვეწევა. კარკუჩაში გაწუწული მოვედით, სასწრაფოდ ვიცვლით ტანისამოსს და ცხელ საჭმელს მადიანად შევექცევით.

### 12 აგვისტო.

ვემშვიდობებით ყამარაულებსა და მარსაგიშვილებს, ვემშვიდობებით მთელ სტუმართმოყვარე კარკუჩას. გავდივართ სნოს ხეობიდან, რომლის თავში ღუდუშაურიანთ კოშკია აღმართული.

არაჩვეულებრივი სითბოთი გვხვდებიან ყაზბეგის ტურბაზის დირექტორი ვლადიმერ ქუშაშვილი და მისი თანამშრომლები. აქ უკვე სახლში ვგრძნობთ თავს.

### 13 აგვისტო.

წესრიგში მოგვყავს ჩვენი ბარგი. ბიჭები კარვებს შლიან. დღეს დასვენების დღეა.

### 14 აგვისტო.

თერგის მარცხენა ნაპირზე გადავდივართ. ვათვალიერებთ ძველ მოხეურ სოფელ ფანშეტს, მის ლამაზ ციხე-კოშკს. დეიდა ფაციასთან ერთად ვიწერთ ძველ თქმულებებს ამ სოფლის შესახებ.

სოფელ გერგეტის ძირში გადავდივართ ხიდს. აი, ალ. ყაზბეგის სახლ-მუზეუმი. შევდივართ, ვათვალიერებთ და ვეცნობით დიდი მწერლის საინტერესო ცხოვრებას.



ეროვნული ბიბლიოთეკა



— ჩვენ ცასთან კიდევ უფრო ახლო გვინდა ვიყოთ, — იხუმრეს მეგობრებმა და სახლის სახურავზე აფოფხდნენ.

15 აგვისტო.

ვიყავით მწვერვალ ქაბარჯინის ძირში. მართლაც რომ ქაჯთა ბინას ჰგავს, თავისი წვეტიანი კლდეებით. მის ძირში ხევის მშვენება—სოფელი სიონია.

სოფელ სიონთან დიდი ჭაბურღილები დგას. აქაა მინერალური წყალი, ნარზანის ტიპისა.

16 აგვისტო.

თბილისიდან ჩვენი ავტობუსი მოვიდა, ვსხდებით და მივდივართ ორჯონიკიძისაკენ.

სილამაზით განთქმული დარიალის ხეობა... ყაზბეგიდან ორჯონიკიძემდე 40 კილომეტრია. ჩავედით და მაშინვე შევუდექით ქალაქის დათვალიერებას.

17 აგვისტო.

დღეს ბაქსანის ხეობისაკენ მივემგზავრებით. გზადაგზა ძმათა სასაფლაოებია; აქ ხომ გამძაფრებული ბრძოლები წარმოებდა გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ.

ყაბარდო-ბალყარეთის დედაქალაქ ნალჩიკში ვართ. აქედან იალბუზის ძირამდე 120 კილომეტრია.

მივყვებით მდ. ბაქსანის ხეობას. ადილ-რუს ხეობაში მთამსვლელ ვეტერანთა შეკრებაა, ჩვენი დეიდა ალექსანდრაც აქ არის მოწვეული.

გატიტვლებულ ტყეებს ადილ-რუს ხეობასთან ფიჭვნარი ცვლის, ამ ხეობაში მთამსვლელთა ბანაკები და ტურბაზებია.

შევჩერდით თეგენეალას ტურბაზაში.

18 აგვისტო.

დავათვალიერეთ ადილ-რუს ხეობა, ავედით სოფელში, სადაც შესანიშნავი სასტუმროებია აშენებული. ვნახეთ საბაგირო გზა და საქ. მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტი.

საღამოთი ვესწრებით ვეტერან მთამსვლელთა შეკრებას. აქ მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა ჩვენი ამხანაგი გია ჩიქოვანი.

ღამე ვბრუნდებით ყაზბეგში.

19 აგვისტო.

ჯვრის გადასასვლელზე ვართ. ქვევით კვლავ მთიულეთი იწყება. აი, თეთრი არაგვის ხეობა, რომელიც ნეფის კალოდან იწყება. თეთრი არაგვის ხეობაში მიდის საქართველოს სამხედრო გზა.

ჩვენ კვლავ ორი არაგვის შესართავთან ვართ. შეგვიძლია ამაყად ვთქვათ, რომ ყველა არაგვის გზები დაგვივლია.

ნანა ლეკვეიშვილი,

რკინიგზის 1-ლი საშ. სკოლის IV კლასის მოსწავლე.

## ლევან ფრუიძე

ზამთარი თავისი გზითა და კვალით მოდის ჩვენს სოფელში. პირველად გორმაღალაზე წამოთოვს, სოჩბის მთასაც მოფირფლავს ოდნავ. სოფლად წვიმები იწყება. ერთბაშად გამოიდარებს, ორთავ მთაზე თოვლს აიღებს. ჩვენებურები იალაღებიდან ჯოგს ჩამოდენიან და რთველს იწყებენ. მეორედ ისევ გორმაღალას ესტუმრება თოვლი, სოჩბის მთასაც ჩამოათეთრებს. ბარად წვიმა უხშირებს, ზამთარი გაფრთხილებას იძლევა: აბა, მზად იყავით, სადაც არის, მოვალ. ისევ გამოიდარებს. ხალხი შეშას იმარაგებს, ჰირნახულს აბინავებს, შრამელ-ბურულებს სახურავს შეუკეთებს. მესამედ ბარაქიანად დათოვს გორმაღალაზე, სოჩბიც ძალზე შეჭაღარავდება, სოფლად წვიმაში თოვლი გაერევა და ნაფუძვრებს რილო-ჰრილო დააჩნდება. იქ, მთიდან ჩამოფრენილი ჩხართვები და ბოლოშავები იწყებენ საზრდოს კენკვას, ხოლო დაუდეგარი ჩხიკვები ზედიზედ ებმებიან ლენჰიკებში.

ზამთარია, აღარ წვიმს. ცა ფანტელებად ქცეულა და ხვავრიელი თოვლი ხეობებს ავსებს. მთები აღარ ჩანან. გიზგიზებს ბუხარი და ზამთრის ღამე საუკუნესავით გრძელდება. ამ დროს ყველა ოჯახს ერთი ნატვრა აქვს — იქნებ ამირინდო-ბრძენი ეწვიოს სტუმრად. ამირინდო ერთი მარტოხელა, შუახანს გადაცილებული, ახმახი კაცია. ბრძენს იმიტომ ეძახიან, რომ უცნაური ლაპარაკი იცის: ღვინოს ქრისტეს სისხლს ეძახის, ხარს — ქედდალოცვილს... პირდაპირ არასდროს არ იტყვის სიტყვას, სულ ქარაგმითა და მიკიბ-მოკიბვით ლაპარაკობს. ზაფხულობით ამირინდო არავის არ უყვარს, — მოიზარმაცებს. ყოველ ალო-მუწუხზე რაღაც სტკივა. სამაგიეროდ, ზამთარში აქვს ფასი: სადაც შეაღებს კარს, ყველგან სიხარული შეაქვს, იმდენი ზღაპარი, თქმულება და ლექსი იცის. დადის ამირინდო ოჯახებში, ყველგან კარგი მასპინძელი ხვდება, საკარცხულზე დასვამენ, წინ შეჰვარტლულ სამფეხა სუფრას დაუდგამენ, მოართმევენ ცხელ-ცხელ მჭადებს, ტარხუნიან ყველს და ამოზელილ ლობიოს, შავი ღვინით აუვსებენ ჭიქას. ამირინდო ცეცხლის შუქზე გახედავს სასმისს, მოსვამს, დააჭაშნიკებს, — პა, პა, პა, გლახა კაცს არ დაელევინებაო, — იტყვის და გადაჰკრავს. ცოტა რომ შენაყრდება, მერე თითო გამხდარ მუხლზე თითო ბავშვს შემოისვამს, მასპინძლებს მეფურად გადახედავს და რიხიანად იკითხავს:

— რა გიამბოთ ახლა, ბა?

— მისრიანი, მისრიანი, ამირინდო!

— ჯუმჯუმ ხელმწიფის ამბავი!

— ანაბაჯი!

— ნაპოვარა!

— ერთ ვახშამში გინდათ, ბიძია, ეგ ყველაფერი? აჰ, მასე არა!..

ამირინდო ერთხანს იყუჩებს და მერე, რომელიც არ დაუსახელეს, მაინცდამაინც იმის მოყოლას დაიწყებს. უცნაურად იდუმალი ხმა აქვს, თითქოს გვირაბში მდინარე დუდუ-

# ცხრა-ციხე-თის ლეგენდა

მხატვარი
**ჯემალ ლოლუა**

ნებსო. სიჩუმეა, მხოლოდ ბუხარში ტკაცუნებს რცხილის შეშა. ცეცხლის ლიცლიცა ალი სოხანეზე ფარფატებს და ფშვინავენ ამირინდოს კალთაში ჩაძინებული ბავშვები.

...ეხ, რა ჯობია იქ ყოფნას. ახლა, როცა ამ სტრიქონებს ვწერ და ირგვლივ, ჩემს სტუდენტურ ოთახში მარტოობა სადგურობს, გაასკეცებით მენატრება ჩემი სოფელი, ჩემი ცხრაციხეთი. ამჟამად არ შემიძლია იქ წასვლა, ამიტომაც მოგონებებში მინდა გადავბარგდე და ცხრაციხეთის ლეგენდა გავიხსენო.

მკერდზე მიკრული ძუძუთა ბალღებით ორი მზეთუნახავი ტყეში მიაბიჯებდა, შიშველი ფეხები ეკალ-ბარდებში ეკაწრებოდათ, მაინც წინ მიიწევდნენ მეომართა თანხლებით. მეომრებიც შესაბრალის დღეში იყვნენ: იარალი შემოლეწვოდათ, ტანსაცმელი შემოფლეთოდათ, ჭრილობებიდან სისხლი ჟონავდა. წყაროსთან, ცაცხვის ძირში ჩამოსხდნენ ლტოლვილნი.

— მეტი აღარ ძალმიძს, აქ დავრჩეთ! — თქვა ერთმა მზეთუნახავმა.

— დავრჩეთ, დედოფალო, წყაროა და ადგილი მშვენიერი! — შეჰკადრეს მეომრებმა.

დაიწყო უღრან ტყეში შეხიზნულ ლტოლვილთა შიშით აღსავსე ცხოვრება. გადიოდა წლები. იზრდებოდნენ, მშვენდებოდნენ, ვაჟკაცდებოდნენ ჩვილები და ჰა, როცა ოც-ოცი წლისანი გახდნენ, როცა ხელდახელ იჭერდნენ მორბენალ ირმებს, კატებსავით ახრჩობდნენ მძვინვარე ჯიქებს, მაშინ დედოფალმა იხმო ორივე ჭაბუკი და უთხრა:

— ოცი წლის წინათ მტერმა მოსრა საქართველო. მოჰკლეს ჩემი მეუღლე, მეფეთ მეფე გიორგი. ბრძოლაში დაიღუპა სახელგანთქმული სარდალი დიდათეოსი. მეუღლემ მისმა და მე, სრულიად საქართველოს დედოფალმა ხორეშანმა. აქვნებიდან აგიტაცეთ ჩვენ-ჩვენი ყრმანი და ტყეს მოვაშურეთ. ახე გადაგარჩინეთ, შვილებო. აწ დროა სამშობლოს მიხედოთ. წადით, თუ ქვეყნად ერთი ქართველი მაინც დააბიჯებს, ჩვენ არ გადავშენდებით. გასწით, აქ მომგვარეთ ხალხი, ამ დალოცვილ ადგილას ცხრა ციხე ააგეთ და მტერს ებრძოლეთ.

...მრავლად აღმოჩნდნენ მიუვალ ხეობებში გახიზნული ქართველები. ცხრა ციხე ცხრა დღეს აიგო და მტერს თავზარი დაეცა. ამჯერადაც გადარჩა საქართველო, გაძლიერდა და გამრავლდა. უღრან ტყეში, ცხრაციხესთან სოფელი გაშენდა, სოფელს დარჩა ციხეები და ლეგენდა.

ასე გაჩნდა ქვეყანაზე ჩემი ცხრაციხეთი. ვამაყობთ ცხრაციხეთელები და საამაყოც გვაქვს, რომ ყოველდღე ვსვამთ იმ წყაროს წყალს, სადაც სამშობლოს დიდებულმა დედოფალმა სული მოითქვა, რომ ახლაც შრიალებს იმ ძირდალოცვილი ცაცხვის ფოთლები, რომლის ჩრდილმა ლტოლვილები შეიფარა. მერე რომელ სოფელს აქვს ასეთი საუცხოო თქმულება თავის წარმოშობაზე?! მე მოკლედ გიამბეთ, ამირინდო-ბრძენი რომ ნახოთ, აი, გრძლად ის გეტყვით. ვეებერთელა პოემა ყოფილა შეთხზული — „მისრიანი“ რქმევია. ამირინდოს ზამთრის ცხრა ღამე სჭირდება თავიდან ბოლომდე, რომ გვიამბოს „მისრიანი“. მისრი იმ სარდლის შვილის სახელია, დიდი ვაჟკაცი ყოფილა მარჯვენაკურთხეული, მეფის ძე ლევანს არ ჩამორჩებოდა თურმე, სატრფოც კარგი შეხვედრია — სევდია. მერე, საბოლოოდ, ბრძოლაში მოუკლავთ მისი ვაჟკაცურად გადაცმული სატრფო. დაღონებულა მისრი მისრელი, ხეთეთურას სათავეში მიუდგომელი გამოქვაბული უპოვია და იქ შეხიზნულა. განდეგილად უცხოვრია ორმოცი წელი, მერე ჩვენებური მონადირე გადაჰყრია და მისრი მისრელს მისთვის ყველაფერი წვრილად უამბნია. მონადირე მოლექსე კაცი ყოფილა. პოემად შეუთხზავს ამბავი და „მისრიანი“ დაურქმევია. ამირინდო-ბრძენის მტკიცებით, ძველად ყველა ოჯახში ინახებოდა თურმე ეს წიგნი, „ვეფხისტყაოსნის“ გვერდით იდო და მზითევის სიაშიც მის შემდეგ იხსენიებოდა. ამირინდოს თავისი „მისრიანი“ ქსიფილინო დიაკვნისათვის უთხოვებია. ქსიფილინოს ამ ორმოცი წლის წინათ დაუწვავს საკუთარი სახლკარი და თვითონაც შიგ გამოხრუკულა. „მისრიანს“ რაღა გადაარჩენდა! ამგვარად, სოფელმა „მისრიანის“ წიგნი დაკარგა. ამირინდოა ახლა ცოცხალი წიგნი და, როცა მისრი მისრელის ამბავის მოყოლას დაიწყებს, მთელი სოფელი ერთ ოჯახში იკრიბება. მეც რამდენჯერ მომისმენია ეს დიდებული პოემა — აღსავსე ჯადოსნური თავგადასავლებით, შემკული უცნაური ფათერაკებით. ოღონდ, ვაი რომ, ლექსად აღარ ახსოვს იგი ამირინდო-ბრძენს და ისე მოგვითხრობს, როგორც ეს ამირინდოსთანა კაცს შეუძლია.

„მისრიანი“! „მისრიანი“! ნუთუ საბოლოოდ დაიკარგა მშვენიერი წიგნი? ახლა, როცა ისტორიის ფაკულტეტის პირველ კურსზე ვარ, ყოველ წუთს მახსოვს ამირინდო-ბრძენის ანდერძივით დანაბარები: დედაქალაქში მოძებნე, იქნებ იპოვო სადმე. ვეძებ, სად არ ვიყავი. მივაკითხე მეცნიერებათა აკადემიას, ვინახულე პროფესორები, ჩვენს ლექტორებს ხომ მთლად გული შევუწუხე, საჯარო ბიბლიოთეკაში სამ კვირას ვფურცლავდი კართოტეკებს — ამაოდ! „მისრიანის“ კვალი არსად ჩანდა.

ბოლოს, ერთ მოხუც მეცნიერზე მიმითითეს — მთელი თავისი სიცოცხლე ქართული წიგნის შესწავლას მოანდომა და, თუკი „მისრიანი“ საერთოდ არსებობდა, უთუოდ მას ეცოდინებაო. წავედი. ზარის ღილაკს თითი რომ დავაჭირე, გულმა ძგერა დამიწყო.

— მობრძანდით! — გაისმა შიგნიდან ძლივსგასაგონად.

შევედი და გაოცებისაგან პირი დავაღე. ოთახის ბოლოს მაგიდის ნათურა ციმციმებდა. იქვე საწოლზე სახედანაცრულ მოხუც ქალს მოერთხა და რაღაცას ჩაჰკირკიტებდა. ირგვლივ ჭერს სწვდებოდა წიგნებით სავსე კარადები. „ამდენ წიგნებში რა იქნება „მისრიანიც“ იყოს!“ — გამიელვა იმედიანმა ფიქრმა.

— ვინა ხარ? — თავი ასწია მასპინძელმა, — აქეთ მობრძანდი.

— სტუდენტი გახლავართ, — მივუგე მე და მივუახლოვდი.

— ახლოს მოიწი. იცი, საიდან არის ეს ეტრატი? ჯრუჭი თუ გაგიგონია? მონასტრის შემოსავლის დავთარია. შენ სადაური ხარ, შვილო? — გამამხნევა ღიმილით.

— ცხრაციხეთიდან, — ვთქვი მე.

— ცხრაციხეთიდან? ცხრაციხეთი, ცხრაციხეთი... მე-18 საუკუნის ერთ საეკლესიო საბუთშია მოხსენიებული. რამ შეგაწუხა, შვილო?

ვუამბე ცხრაციხეთის ლეგენდა და „მისრიანზეც“ ვკითხე. გაოცდა, არც ერთი არ გაეგონა.

— ნამდვილად ისტორიული ამბავი უნდა იყოს არეკლილი თქმულებასა და ეპოსშიც, — დაასკვნა ბოლოს, — შესწავლა უნდა. საჭიროა ასეთ საქმეს ახალგაზრდებმა მოკიდოთ ხელი. არდადეგებზე რომ წახვალ სოფელში, მასალების შეკრებას შეუდექი, აბა შენ იცი. მომავალ კვირას გამოიარე და იმ საბუთს მოვძებნი.

მოუსვენრად გავატარე მთელი კვირა. ზუსტად დანიშნულ დროს გამოვცხადდი. მისალები ოთახი ახლა გაჩირაღდნებული დამხვდა. მასპინძელი ხალისით შემომეგება, სიძველეთა შესწავლაზე, მეცნიერებაზე ამ ხნის ადამიანი ყმაწვილური გზნებით მესაუბრა

და დედაშვილურად ბევრი რჩევა მომცა. ბოლოს დამსვა და ჰოი, საოცრებავ — ისტორიული საბუთი ჩემს ცხრაციხეთზე... თვალს არ ვუჯეროდი. ცხრაჯერ წავიკითხე, მერე იქვე გადავიწერე და დიდი მადლობით გამოვეთხოვე მოხუც მეცნიერს.

ერთი სული მქონდა ამირიდნოს როდის ვნახავდი.

უკანასკნელი გამოცდა ჩავაბარე თუ არა, მაშინვე სოფელში გავემგზავრე, ამირინდო-ბრძენი ავტოსადგურში დამხვდა. მე არც მომსალმებია, მაშინვე ჩემოდანს ეცა.

— მოიცა, კაცო, სახლში მივიდე, სული მოვითქვა.

— შე ულმერთო, წელიწადია, გიცდი. გახსენი ჩემოდანი თუ არა დავამტვრევ!

მეტი რაღა გზა მქონდა, გავხსენი. ამირინდომ მოწიწებით ამოიღო ფურცლები და კითხვა დაიწყო: — „საეკლესიო საბუთი მე-18 საუკუნისა". დიდება შენდა ღმერთო, მე-18 საუკუნე გუშინ ხომ არ იყო! რაფერ მოაღწია ამ ქაღალდმა, ჰა?

— პირია, ამირინდო ბიძია, პირი.

— პირია თუ თავი, მაინც ძველია და ძველი. იმე, ბიჭო, ჩემი გვარი: „ცხრაციხეთელ კიკაბიძეს მართებს ღვინო დორა ხუთი, ზანდური ფოხალი ექვსი".

— ეგ არის, ამირინდო ბიძია, ჩვენი სოფლისა და შენი გვარის ისტორიაში პირველი მოხსენიება.

— პა, პა, პა, უყურე შენ! ეგ რაღაა? რაო?




## ნ. კინჩევი

ბულგარელი პოეტი

დღე და ღამე დაზუზუნებს,
ხალხს ძილს უფრთხობს ღამით,
ხან დაუსტვენს, ხან ბობოქრობს,
არ ჩერდება წამით.
დაჰქრის მთაში, დაძრწის ბარში,
ხეთა დათხრას ლამობს,
მაგრამ მაინც საყვედურებს
მასზე არვინ ამბობს.
ვინ ისურვებს დაარიგოს,
სულ გრიალი გააქვს,
რას შეასმენ გაუგონარს,—
ქარს ყურები არ აქვს!

თარგმნა ქ. გოგიაშვილმა.

„უსახელო ციხე — არქიტექტურული ძეგლი მე-10 საუკუნისა". უსახელო კი არა, მისრის ციხეა. ვინ დაწერა მაგი?

— არ სცოდნიათ, ამირინდო ბიძია.

— ფუი, შეურცხვეთ ნამუსი. არც სევდის ციხის სახელია, ნანგრევებიაო წერია. „ყაფლამის კოშკი"... მადლობა ღმერთს, ეს მაინცაა სწორად. კი მარა, ჩვენი სოფლიდან სხვა არაფერი შეიტანეს? ნაბელლავთან შარშან რო მიწის ბრუნებისას კაცის ძვლები და შუბის წვერები ვნახეთ, სიკოიას ეზოში რო ჩუქურთმიანი ქვაა, იონჯილელე ხომ მოჭიქული ქოთნის ნატეხებითაა სავსე? არა, ძამია, მაგენი რა მეცნიერები ყოფილან, არაფერი არ სცოდნიათ.

— არ არის, ამირინდო ბიძია, შესწავლილი, არა. „მისრიანის" შესახებაც არაფერი იციან. მე დამავალეს, დაზვერე შენი სოფლის მიდამოებიო, რჩევა-დარიგებაც მომცეს.

მერე დაწვრილებით ვუამბე ამირინდო-ბრძენს მოხუც მწიგნობარ ქალთან შეხვედრის ამბავი.

— ააშენა ღმერთმა, ქალი ეგ ყოფილა. მეც მოგეხმარები, ჩვენს სოფელში რა დამემალება.

— ერთად, ერთად ვიმუშაოთ, ამირინდო ბიძია!

— კეთილი და პატიოსანი. ხვალ მოდი ჩემთან. აგერ დედაშენი და შენი გათხავებული და ნუნუკა მოდიან, რაღას დაგვაცლიან ხმის ამოღებას. აბა, გელოდები!

— კარგი, ამირინდო ბიძია! ნახვამდის! — ვთქვი მე და საჩქაროდ დავწვდი ჩემოდანს.

●

ერთი წელია სოფლიდან წავედი და ამირინდო-ბრძენის კარ-მიდამო არაფრით არ შეცვლილა. ისევ ის კისერმოქცეული ჭიშკარი, გვერდებშემოლეწილი ღობე, შავი კუნელის ბუჩქები და ძველთაძველი კათხა-სახლი.

— მასპინძელო! — მივადექი ჭიშკარს.

ბალანაბურძგნული, მოლეული ფინია ზარმაცად აყეფდა. მალე შეჭვარტლულ კარს მიღმა მასპინძლის ჭაღარა თავი გამოჩნდა. ის იყო პირი დაებანა და ახლა ახალუხის ღილკილოებს იბნევდა.

— მოდი, გურამუკა, მოდი. ვეფხია, ხმა ჩაიწყვიტე!

ვეფხიად მონათლული უჯიშო მყეფარი, თითქოს ამას უცდიდაო, იქვე მიწვა და მაშინვე ძილს მიეცა.

— აქა მშვიდობა! — საძირკველს გადავაბიჯე.

— მშვიდობა ნუ მოგიშალოს ღმერთმა. დაჯექი!

სამფეხა ჯორკო მომიჩოჩა. ამირინდოსთან ადრეც ვყოფილვარ, მაგრამ ახლა, როცა უნივერსიტეტში ეთნოგრაფიის კურსი მოსმენილი მქონდა, ნამდვილად გამაოცა ამ სახლის თავისებურებამ და სიძველემ. ქვის მოჩუქურთმებული კერა ჭვარტლისაგან შავად ბზინავდა. ძირს, სიგრძიდან სიგრძემდე, კაზმული სვეტებით შეკრული, საჯალაბო ლოგინი გადაჭიმულიყო. ხელმარცხნივ კიდობანი, საჭურჭლე და საიარაღე მოეთავსებინათ. „რაჭა-ლეჩხუმის ბარში გაბატონებული იყო ხის ფიცრული, შუაცეცხლიანი სახლები. ახლა ისინი აქა-იქღა შემორჩა და დაცვას საჭიროებს", — მომაგონდა ჩვენი ლექტორის სიტყვები.

— ბიჭო, რავა თვალებს აცეცებ, თქვი რამე, შე კაი დედმამიშვილო!

— ამირინდო ბიძია, დიდებული სახლი გაქვს!

— ამ მამაძაღლს უყურე! შენი დასაცინი ტყავი სამოცდაათი წელია, რაც გამოვიცვალე!

— არა, ამირინდო ბიძია, ჩვენს ისტორიას სჭირდება ასეთი სახლები, უნდა დავიცვათ და მოვუაროთ!

— ჰმ, გადამრევს ეს ხალხი. რაც მე ამ სახლისათვის უბედურება გადამხდენია... ჯერ ერთი, ამირინდოს ეყოლე კარგად, მთელი სოფელი ზარმაცს მეძახის, ყველამ ოდები წამოჭიმა და ეს კაცი კვამლში იხრჩობაო. მერე, ბებიაშენი, ბიძიკო, გალმელ ქალს მირიგებდა, საქმე გაკეთებული იყო, მარა ენაღვარძლიან ადამიანს რა დალევს ქვეყანაზე... ძველი სახლი უდგასო, მიუტანეს სასიმამროს ამბავი, და ვილამ მოგცა ქალი. ეგ კიდევ არაფერი, ახლომახლო სოფლებში ვინც გასათხოვარი იყო, ყველამ უარი მტკიცა. ჰოდა, სტამბოლს ვერ წავედი საცოლის მოსაძებნად. დავრჩი, ბიძია, ასე უცოლოდ და უთვისტომოდ... ეხ, არ ვჯავრობ, ყველა ოჯახში ისე შევდივარ, თუგინდა ქალიშვილი მყავდეს გათხოვილი. მითხარი, ბიძია, მართლა საჭიროა ვინმესთვის ე დაბრანცული სახლი?

— საჭიროა, მაშ! — და მოვხსენი თავი, რაც კი რამ ვიცოდი ქართული ეთნოგრაფიის შესახებ. ბევრი ვერაფერი ლექცია გამომივიდა, მაგრამ ამირინდო მაინც აღტაცებული დარჩა, ცრემლი მოერია და მითხრა:

— შენ იცი, გურამუკა, თუ გამოაჩენ ჩვენს სოფელს, ა ჩემი თავი და ა ჩემი სახლი!

— მაშ ასე, ამჟამად ჩვენ დაზვერვითი ხასიათის ექსპედიცია უნდა მოვაწყოთ.

— სად, ჭირიმე?

— ჩვენი სოფლის მიდამოებში.

— რად გინდა, ბიძია, ყველა კენჭი ვიცი სად აგდია, ახლავე მოგიყვები.

— არა! ჩვენს სოფელს ხომ ცხრაციხეთი ჰქვია? სამი ციხე ხომ ვიცით სად არის? მე მინდა დანარჩენი ექვსიც ვიპოვო.

— ოო, უყურე შენ!

— კიდევ, იქნება „მისრიანს" მივაკვლიოთ სადმე.

— ღმერთმაც ჰქნას!

— ჰოდა, შენ უნდა დამეხმარო, ამირინდო ბიძია!

— კი, ბიძია, ხეთეთურას სათავეებისკენ თუ წავალთ, შეიძლება მივაგნოთ რამეს. მაგრამ, ვინ იცის, რამდენი წელია, იქ კაცს ფეხი არ დაუდგამს. რაც საყორნიის კლდე გაიპო, გზები ჩაიტანა და ჩანჩქერი გააჩინა, მერე ვინღა გაბედავს იქეთ ხეტიალს. ნაძრახი ადგილია, შვილო. ცხონებული ბაბუაჩემი ამბობდა, ტყისკაცების ბუდეაო. ადრე წმიდა ტაძარი ყოფილა თურმე. სამასი თეთრად მოსილი მონოზანი რომ დადგებოდა თურმე ლოცვად, საყორნიის მთას ნათელი ადგა და, საკმევლის სუნი სოფელს აბრუებდა. მერე, განრისხდა უფალი, იძრა მიწა, ადუღდა ქვა და ლოდი, ზეცას შეწვდა ქვესკნელის ცეცხლი. ამ ჩვენს დროში, გურამუკა, ხეთეთურას სათავეებისაკენ ადამიანის შვილს პირი აღარ უქნია.

— ჩვენ, ჩვენ უნდა წავიდეთ. ამირინდო ბიძია, იქ!

— ჯანდაბას ჩემი ბებერი თავი, წავიდეთ, შვილო!

—ზეგ დილით გამთენიას წავიდეთ. საგზალი ჩემი იყოს. სოფელში ხმა დავაგდოთ, სარის საჭრელად მივდივართ-თქო. მომეცი ხელი!

შეთანხმების ნიშნად ერთმანეთს გადავეხვიეთ.

●

დღე და ღამე იყრებოდა, როცა საყორნიის ჩანჩქერს მივაღწიეთ. თვალუწვდენელი სიმაღლიდან ქუხილით ეშვებოდა ქაფადქცეული ხეთეთურა. დასასვენებლად ჩამოვსხედით, ოფლიან სახეს ჩანჩქერიდან არეკლილი თქორი გვიგრილებდა. მოულოდნელად მახლობელ შუროდან კენჭები ჩამოგორდა. ეტყობა, ვიღაც მოდიოდა.

— ღმერთო ჩემო, ჭინკაა თუ ადამიანი? — პირჯვარი გადაისახა ამირინდო-ბრძენმა.

— ნუნუკა, აქ რა გინდა?! — შევყვირე გაოცებულმა.

— რა მინდა და, ციხეების საძებრად სიარული!

— კი მაგრამ, შენ ვინ გითხრა?

— დამანებე თავი. გავიგე, რაც გინდა!

— გულთმისანი ხარ, ბიძია? — ველარ მოითმინა ამირინდომ, — გულთმისანი კი არა, თხა ხარ, თხა! რას აგვედევნე, ვინ ეშმაკმა გაგაგებია?!

— ნუ გამიწყრები, ამირინდო ბიძია, შენი ჭირიმე. თქვენთან, სახლში რომ მოილაპარაკეთ, ყველაფერი გავიგონე, კარს უკან ვიყავი დამალული.

— ჰოი, დასწყევლის ეშმაკი! წადით, ბიძია, და იარეთ. ქალი რო საქმეში გაერევა...

— რას ამბობ, ამირინდო ბიძია. მოიცა, ნუნუკა, ახლავე დაბრუნდი სახლში!

— არა, თუ არ წამიყვანთ, იცი რას ვიზამ, იმ კედელზე ავცოცდები და თავდაყირა გადმოვეშვები.

— ჰმ, უყურე შენ! მართლა ასე იზამს ეს ეშმაკის ფეხი! — შემობრუნდა ამირინდო, — ჭკუა დაუშლის თუ?!

— წამიყვანეთ რა, წამიყვანეთ რა...

— ჰმ, რამ გადაგრია, მთელი სოფელი შეიყრება, გოგუნა დაიკარგაო.

— არაფერიც, დედაჩემმა გამომიშვა.

— დედას გააგებინე?!

— ჰო, გურამს უნდოდა ჩემი წაყვანა და უშენოდ ვერ გაბედა-თქვა.

— ხა, ხა, ხა! ქრისტეს ფეხის მჭამელია ეს გათხავებული. წამოდი, ბიძია, წამოდი! — უცებ მოლბა ამირინდო-ბრძენი.

რაღა მეთქმოდა, ძალაუნებურად შევეგუე ექსპედიციაში გაუთვალისწინებელი, მესამე წევრის მიღებას.

— ივლი მერე კლდესა და ღრეში?

— მაგი, ბიძია იმისთანა თხაა, შენ გაჯობებს.

ავიკარით გუდა-ნაბადი და ციცაბო შუროს შევუყევით. ასე უნდა მოგვევლო ჩანჩქერისათვის და ხეობაში გადავსულიყავით. ნუნუკა მართლა წინ მიხტოდა ფეხმარდი არჩივით. ტყიანი მოთავდა და შიშველ ციცაბოზე გავედით. ნაშალ კლდეზე ფეხთ გავიძვრეთ და ფრთხილად შევუდექით სახიფათო გზას. ძირს ავად ღმუოდა ჩანჩქერი. სიმწრის ოფლი გვასხამდა, მხოლოდ ნუნუკა იყო მშვიდად. კატასავით იკიდებდა ფეხს ქვებზე და წინ მიიწევდა. ყველაზე ადრე გავიდა სამშვიდობოს. თოკი ვესროლე, იქვე ზედ ლოდზე ამოსულ ფიჭვს გამოაბა. ახლა თავისუფლად გავედით.



— აგაშენოთ ღმერთმა, ბიძიებო, ეს გოგო რომ არა, მე აქ ვერ ამოვფოფხდებოდი! — სული მოითქვა ამირინდომ.

ზედ ჩანჩქერის თავზე ვიდექით. ძირს გადახედვა ჟრუანტელს გვგვრიდა. დავისვენეთ, ცოტა შევნაყრდით და მერე მდინარეს ავყევით. გზას გვილობავდა ნალეწი ტინები. წარსული ნგრევის საშინელი კვალი აჩნდა გარემოს. კლდეკარს მივადექით. პიტალოებით მოზღუდულ უზარმაზარ, ბუნებრივ ჭიშკარში ერთმანეთის მოპირდაპირე სადარაჯო გოდოლები ჩაეშენებინათ და მიუვალ ციხესიმაგრედ ექციათ.

— ცხრაციხეთის ორი ციხე ნაპოვნია! — შევძახე მე.

— ვაშა! — ტაში შემოჰკრეს ნუნუკამ და ამირინდომ.

სურათები გადავიღე და ძეგლთა აღწერას შევეცადე.

უხეშად ნათალი დიდი ქვებით იყო ნაშენები გოდოლები. გოროზად იმზირებოდნენ ჩაღამებული სათოფურები. მახლობელ ხაკანში შევედით. შორეულ კუთხეში თავლია ჭურები ჩანდა. შუა ადგილას კერა შევნიშნეთ. კედლის გასწვრივ დიდი ჯაჭვები ეკი-



ეროვნული ბიბლიოთეკა



# რა კარგია

**სიმონ შამურიანი**

ცვივა,
ცვივა,
ცვივა თოვლი
თეთრი სოფლის კალთაშია,
ჟივჟივებენ ბეღურები—
საბრალოებს ალბათ შიათ,
სადღაც ზვავი დაიქუხებს,—
ხეობაში განგაშია;
ძირს ენგური—
ვერცხლის ხმალი,
ყინულების ქარქაშშია.
...საყვარელი ჩემი მხარე
რა კარგია ზამთარშიაც!..

და. იქვე ბლომად ეყარა სატყორცნი ქვები. კერასთან კეცები და აკვნის ნატეხები ვიპოვეთ.

— საოცარია, — დუდუნებდა ამირინდო-ბრძენი, — აგერ უწყინარი, მშვიდი კერა აკვნითა და კეცებით, გვერდით ტყვეთა დასაბმელი მძიმე ხაჯალურები და მტერთა შესამუსრი ქვები... ასე ყოფილა ქართველი კაცის ბედი, ციხე-სიმაგრეშიც კერა ჰქონია და აკვანი. იმიტომ მოვიტანეთ, ბიძიებო, სული აქამდე, იმიტომ!

კლდეკარის სიღრმეში ოდესღაც საურმე, მაგრამ ახლა ნადირთა ბილიკად ქცეული გზა მიდიოდა. ჩვენც ამ გზას გავყევით. უცებ ამირინდომ რაღაცას წამოჰკრა ფეხი, წაიფორხილა და გაოცებულმა შეჰყვირა:

— ლახტი!

არასდროს არ მენახა ძველ რაინდთა ეს მრისხანე იარაღი. მთლიანი რკინისა იყო, მოგრძო, მარჯვე ტარი ჰქონდა, თავი მსხვილი, მრგვალი, ოღონდ კუწუბებიანი.

— „გადაჰკრა ლახტი, გაუპო თავი..“ — მოაგონდა ამირინდო-ბრძენს „მისრიანიდან“, —მუზარად-ჩაჩქანს თურმე ხმალი ვერას აკლებდა, სამაგიეროდ, ლახტის ქვერებით ამსხვრევდნენ. ხო, ხო, ხო, რა მძიმეა, ნახევარ ფუთს მაინც აიწონის. ამის მომხმარებელი იქნებოდა ვაჟკაცი, თორემ ჩვენ რა ვართ!..

—საკვირველია, როგორ მოხვდა ეს იარაღი ამ შუა გზაში? — შევეჭვდი მე.

ანაზდად ყველამ ნათლად გავიგონეთ საბრძოლო ყიჟინის შორეული ხმა. ამირინდოს სიტყვა გაუწყდა.

— ეს რა ამბავია?! — შეიცხადა ნუნუკამ.

კლდეების გულჩათხრობილი ეხო ჯერ კიდევ არ მიმწყდარიყო რომ, ყიჟინა განმეორდა. ნუნუკას გაფითრებულმა, შემკრთალმა სახემ რატომღაც მათქმევინა:

— არაფერია, გვეჩვენება. ეს დაღვრემილი კლდეები, ბინდად ჩამოწოლილი საღამო და, რაც მთავარია, ეს უძველესი ძეგლები იწვევენ ჩვენში ჰალუცინაციებს .

მივხვდი, ძალიან მაღალფარდოვნად გამომივიდა. ამირინდომ ყურები მოიდრიკა და ეშმაკურად მკითხა:

— რას იწვევენო, ბიძია, რა თქვი? ჰალუც... ფუი, რა სიტყვაა, ენას არ მოიტეხავს კაცი!

მერე თვალი ჩამიკრა და მაგრძნობინა: ნუნუკა მოატყუე, ჩემთან ვერაფერს გახდებიო.

ხმა აღარ ამომიღია: საგონებელში ჩავვარდი, ვერაფრით ვერ ამეხსნა უცნაური ყიჟინის მიზეზი.

●

ღამის გასათევად მყუდრო ადგილი შევარჩიეთ. ეს იყო ზედ გზის პირად კლდეში ნაკვეთი, ხავსით დაფარული გამოქვაბული. ფიჩხი მოვზიდეთ და კოცონი გავაჩაღეთ. გემრიელმა ვახშამმა წეღანდელი შიში გადაგვავიწყა.

— ეე, ბიძია, პაპაჩემს აქ საქმე დამართნია, — მოვიდა ლაპარაკის ხასიათზე ამირინდო-ბრძენი.

— რა საქმე? — არ დააყოვნა ნუნუკამ.

— არ შეგეშინდებათ, რომ მოგიყვეთ?!

— რა შეგვაშინებს! — ცოტა არ იყოს ყოყოჩად გავიმართე წელში მე.

წუთით სიჩუმე ჩამოვარდა, მხოლოდ ხეთეთურას ბუტბუტი ისმოდა შორს. ტკაცუნებდა ფიჩხი და ცეცხლის ენები უცნაურ აჩრდილებს ხატავდნენ გამოქვაბულის კედლებზე. ნუნუკა ჩემსკენ მოიწია, მუხლზე მომეკრა და კატასავით გაინაბა. რატომღაც გამაჟრჟოლა: „ნეტა რა შეემთხვა ამირინდოს პაპას?“ ამირინდო კი არ ჩქარობდა, ანთებული თვალებით შესცქეროდა გამოქვაბულის ხავსიან ჭერს და ტუჩებს მორწმუნესავით აცმაცუნებდა. აჰა, ჩაახველა როგორც იქნა და ძლივს გასაგონი, მთრთოლვარე ხმით დაიწყო:

—პაპაჩემს რაც შეემთხვა, ზღაპარს ჰგავს, მარა ზღაპარზე უარესია. ეს ტყეები უწინ ალქაჯებით, ჭინკებით და ეშმაკებით ყოფილა სავსე, აბა! ტყეში ცხოვრობდა თურმე კიდევ კაცბოროტი; ხუთი საჟენი სიმაღლისა ყოფილა, კბილებად სახნისები ჰქონია, თვალებად — სისხლის გუბეები. ერთიანად ღორის ჯაგრით ყოფილა დაფარული. რომ დადიოდა, მიწა ირყეოდა. ასწლოვან ხეებს გლეჯდა თურმე. ვაი მისი ბრალი, ვისაც შეხვდებოდა — მატლივით გასრესდა. პაპაჩემი ესტატე კაი მონადირე ყოფილა, ბევრი კაცბოროტი უნახავს და ყველას ხელიდან დასხლტომია, მაგრამ ერთხელ...

— ვაი! — აღმოხდა ნუნუკას.

— ჰოდა, ერთხელ, — შეუნაცვლა ამირინდომ გვერდი ცეცხლს, — პაპაჩემი თურმე წყაროსთან ისვენებდა. ატყდა ანაზდად ხეების ლაწალუწი, ატორტმანდა მიწა, ქალის განწირული კივილი გაისმა ტყეში. წამოხტა პაპაჩემი, წამოხტა და რას ხედავს: კაცბოროტი მოსდევს ტყის უმშვენიერეს დედოფალს, ნადირთა პატრონს დალს. „ესტატე, მიშველე, ესტატე!“ — შეევედრა თურმე ტყის დედოფალი. რაღას იზამდა პაპაჩემი, ცოტა პატივისცემა კი არ ახსოვდა ნადირთა პატრონისაგან. დაუმიზნა თოფი მოძალადეს და ესროლა. ზედ გულის კოვზში მოარტყა თურმე იმ მარჯვენადალოცვილმა.

— უხ, შენი ჭირიმე! — ატკრიალდა ნუნუკა.

— წაიქცა სასიკვდილოდ განგმირული კაცბოროტი. მეორედ მესროლეო, — შეევედრა თურმე მონადირეს. ის იყო, პაპაჩემი სროლას აპირებდა რომ, დედოფალმა იწივლა: „არ შეცდე, ესტატე, არ ესროლოო!“ კიდევ კარგი, არ ესროლა...

— რა მოხდებოდა, ამირინდო ბიძია? — ვეღარ მოითმინა ნუნუკამ. — რა მოხდებოდა, მეორედაც რომ ესროლა?

— რა და, მეორე სროლით პირველ გასროლას ძალას დაუკარგავდა, კაცბოროტს ჭრილობა გაუმრთელდებოდა და მერე, დაგიფარა ღმერთმა...

უცებ გამოქვაბულის სიღრმეში ყრუ ბუყბუყი და ჩხრიალი გაისმა.

— ვაიმე, კაცბოროტი! — წამოხტა ნუნუკა.

— დაჯექი, გოგო! — ვუყვირე მე. მაგრამ ხმაური თანდათან ახლოვდებოდა. ბოლოს ჩვენც ვიკადრეთ წამოდგომა, ბარგს ხელი ვტაცეთ და გამოქვაბულიდან ფაციფუცით გამოვცვივდით. კიდევ კარგი, გამოვასწარით. ჩვენი ღამის გასათევი ადგილი უმალ წყალმა დაფარა. მე და ნუნუკა ძალზე დაბნეულები ვიყავით. მართალია, კაცბოროტს არ მოველოდი, მაგრამ ამ მშრალ გამოქვაბულში მდინარის ასე ანაზდეული მოვარდნა მეტად მაოცებდა. მხოლოდ ამირინდო-ბრძენი იდგა მშვიდად და არხეინად ილიმებოდა.

— რა მოხდა, რა? — შევანჯღრიე გაბრაზებულმა. — გაგვაგებინე!

— იმაზე მეტი არაფერი, რაც ნახეთ. რუბნელა მოვარდა.

— რუბნელა?!

— ჰო, ძველთაგან გამიგონია, უცნაური წყალიაო რუბნელა. ხან საყორნიის მთის გა-



დალმა ლეხერაში გამოხეთქავს, ხან აქეთ, ხეთეთურას უერთდება. მთის შუაგულში თურმე გველეშაპი წევს, საითაც გადაბრუნდება, რუბნელაც იქეთ იზამს პირს. ალბათ, ახლა აქეთ გადმობრუნდა ის ოხერი, — ჩაიხითხითა ამირინდომ, — ჩვენც, ბიჭო, რა ადგილი შევარჩიეთ ღამის გასათევად?!

●

მზიანი დილა გათენდა. შეციებულები ვიყავით და სითბო გვსიამოვნებდა. კლდოვანებზე აცოცებულ ბილიკს მივყევით. მალე გადავივაკეთ. ხეობა ოდნავ გაფართოვდა. თხმელნარს ზემოთ, ზეგანზე, ბზისა და ძელქვის კორომი იყო. ოდესღაც ქვიტკირის ზღუდე ჰქონოდა კორომს, ახლა აქა-იქლა ეყარა ნაშალი ქვები. კორომის სიღრმეში დიდი, დარბაზული ეკლესია ჩანდა. ეკლესიის წინ, ბექობზე რკინის უზარმაზარი მშვილდ-ისარი იყო გამართული. მივედით, ძვრა ვერ ვუყავით. მიწაში ღრმად ჩამჯდარი ისარი ორი მეტრი სიმაღლისა მაინც იქნებოდა. ზედ ასევე ვეება მშვილდი იყო დამაგრებული.

— დევების ჯიხამშვილდს არა ჰგავს? — გაუკვირდა ამირინდო-ბრძენს.

ნუნუკა ზედ აცოცდა და ჩიტივით შემოსკუპდა.

ფოტოსურათები გადავიღე და აღწერილობას შევუდექი.

ყველაფერს რომ მოვრჩი, მაშინღა მკითხა ამირინდომ:

— რისთვის დასჭირდებოდათ ამხელა იარაღი, ჰა?

— საკულტოა ნამდვილად, — ვთქვი მე უფრო საკუთარი თავის დასარწმუნებლად, — მსგავსი მშვილდ-ისარი ადრეც უნახავთ. აი, გაზეთ „მწყემსის“ ცნობაც, — ჩანთიდან ამონაწერი ამოვიღე, ამირინდომ ჩამარცვლით წაიკითხა: — „შესანიშნავი მშვილდ-ისარი აზარის საზოგადოებიდან“... უყურე შენ!

ფურცელი ჩამოვართვი და განვაგრძე:

— „აზარის საზოგადოების სოფელ ურავის მახლობლად საჯიხვედ წოდებული მთაა. ამ მთის ჩრდილოეთით არის დიდი დაბურული ტყე. ტყეზე გავლით გზა მიდის ონში. გზის ერთ დავაკებულ ალაგას მუხის დიდრონი ხეებია შემოჯარული. მუხნარში ძველთაძველი ხასაფლაოა. ხასაფლაოზე დასობილია რკინის ისარი, ზედ რკინისავე მშვილდია დაკიდებული. ეს ისარი და მშვილდი ისეთი დიდები არიან, რომ მე და ჩემს თანამგზავრებს გაგვიჭირდა თვითეულად მათი დაძვრა ადგილიდან; ჩემის ფიქრით, ეს მშვილდ-ისარი სიმძიმით უნდა გამოვიდეს ექვსი ფუთი მაინც. ისარი სიგრძით იქნება ორი არშინი და სისქით ერთი გოჯი, მშვილდი კი სამი ადლია. ეს ძველი ნაშთები აქამდე შეუნიშნავი ყოფილა ცნობისმოყვარე კაცთაგან“.

— როდინდელია ბიძია, წერილი? — იკითხა ამირინდომ.

— 1886 წელს არის გამოქვეყნებული, — ვუპასუხე მე.

— მერე ამდენ ხანს დაწვრილებით რატომ არავინ გაიგო მაგ მშვილდ-ისრის ამბავი? ჰაი დედასა, რამდენი საუცხოო რამეა ჩვენს მიწა-წყალზე და კაციშვილი არ ეძებს. არა, ბიძია, არა, არ ვარგიხართ ახლანდელი ახალგაზრდები. ცოდნა-განათლება თქვენს ხელშია, მარა რად გინდათ, თუ არ გამოიყენებთ! ეხ, ჩემს ყმაწვილკაცობაში დალაგებული დრო ყოფილიყო და მესწავლა...

ვინ. იცის რამდენ ხანს გაგრძელდებოდა ამირინდო-ბრძენის ბუზღუნი, რომ წინადლით გაგონილი საბრძოლო ყიჟინი არ განმეორებულიყო. სახტად დავრჩით.

— ახლაც იტყვი, რაღაცა ჰალუცინაცია თუ დარდუბალა არისო? — მითხრა ნიშნის მოგებით ამირინდომ, — ვინ იცის, ყაჩაღები დაძრწიან.

— ვაიმე, ყაჩაღები? — შეკრთა ნუნუკა.

რა მეპასუხნა, აღარ ვიცოდი. ეკლესიას მივადექით. ირგვლივ უამრავი ნანგრევი მიმოფანტულიყო. ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე იგრძნობოდა მძლავრი მიწისძვრის დამლუპველი ძალა. თვით ეკლესიას ჭერი ჩამოქცეოდა, დახეთქილ, მობარბაცე კედლებს ჯერ კიდევ აჩნდა ფრესკების კვალი. ძირს ნალეწი ჩუქურთმები და ბარელიეფები ეყარა.

— რა მოგივიდა, ბიჭო?! — გამომაფხიზლა ნუნუკამ.

— აჰა, — ამოვთქვი მთვარეულივით, — ამირინდო ბიძია, ალბათ ეს ის მონასტერია, შენ რომ მითხარი, სამასი მონოზანი ლოცვად დადგებოდაო...

— ნამდვილად, აგრე იქნება. ჩემო გურამ, შენი ჭირიმე, რომ გადავირიო ე ბერიკაცი, კი არ მეძრახება.

— აბა, კარგად დავათვალიეროთ აქაურობა, იქნებ რამე წარწერა ვიპოვოთ.

ნუნუკა ტრაპეზში შეძვრა და მალე მისი წიოკობა მოგვესმა:

— აქეთ მოდით, აქეთ, უშველებელი წიგნია!

ამირინდომ დამასწრო შეხედვა და აღტაცებულმა იყვირა:

— გულანი! გულანი!

გულანი სადვთისმეტყველო კრებულია. ძველად ყველა მონასტერში ინახებოდა იგი. უფრო სასიხარულო რაღა იქნებოდა. ახლა კი გავიგებდით დაწვრილებით ამ მონასტრის ამბავს, იქნებ ცხრაციხეთსა და „მისრიანზეც“ რამე შეგვეტყო. წიგნი მეტად დიდი ზომისა იყო, ერთი ფუთი მაინც გამოვიდოდა. ფურცლები გაყვითლებოდა, ნოტიო მტვრის სუნი ასდიოდა. ყველა გვერდი გავჩხრიკეთ, მაგრამ ნაადრევი გამოდგა ჩვენი სიხარული, მინაწერებიც ნუსხახუცურად ჰქონდა, ხოლო ნუსხახუცურის კითხვაში გაწაფული არ ვიყავი. მეტი გზა არ იყო, თბილისიდან სწავლულთა ჩამოსვლამდე უნდა მომეთმინა. ნაწყენმა გადავშალე ბოლო ფურცელი და უცბად ხვეული ასომთავრულით შესრულებულ ლამაზ წარწერას წავაწყდი. ხმაათრთოლებულმა წავიკითხე:

— „აქა, წმიდასა მონასტერსა სამასი მონოზანი ილვწოდა ოდით. ჟამთა კირთებითა ყოველნი აღესრულნენ. დადუმდა საკურთხეველი დიდებული და არღარავინ მსახურობდა ღმერთსა. ათორმეტნი ძმანი გარდმოვედით სამცხით. განვაახლეთ მონასტერი. ათერთმეტი ხელთიღო უფალმა. ყოველი წესი აღვუსრულე და ქვა დავუფუძნე. სამარე წინასწარ განვიმზადე, რამეთუ დამმარხავი არღარავინ დამშთა. მარტოობისა მეხუთე წელსა მომეკიდლა ზებედე დუხჭირი, ყარაჩაით ლტოლვილი. დიდი ჭირი და სარჯელი გარდამხდა, ზებედემან ცრუმან ხელმყო, მომპარა ოქროცურვილი ხატი სანატრელი ნინოისი და წიგნი „მისრიანი“ უებრო ლექსად წყობილი, მატიანე საქართველოის მკვდრეთით აღდგომისა...“

— ვაი! — დაიკვნესა ნუნუკამ.

— აფსუს! — მკერდში მჯიღი ჩაიკრა ამირინდომ.



— „ღვთის მგმობელი, წყეული ზებედე გარდაიხვეწა. გაწყრა ღმერთი, ცაზე გამოჩნდა კუდიანი ვარსკვლავი. აღმოხდა ქვესკნელს ცეცხლი, იძრა მიწა, დაიქცა ყოველი შენობანი. მე ცოდვილს განმკითხავად მომევლინა წმიდა გიორგი, მტყორცნა თავისი ისარი, მიწას ფლობილი, აწ აღვესრულე...“

შემდეგ ვეღარ გავარჩიე. სამივენი ვდუმდით. გულს გვიკლავდა საბრალო ბერის უბედურება.

— ზებედეები გვღუპავდნენ თავიდანვე! — გამოსცრა ამირინდო-ბრძენმა, — იმ ღმერთგამწყრალს „მისრიანი“ მაინც არ წაეღო.

გულანი ფრთხილად გავწმინდეთ, კარგად შევფუთეთ და იქვე დავტოვეთ. მოვრჩებოდით თუ არა დაზვერვას, მაშინვე დედაქალაქში უნდა გავმგზავრებულიყავი და ნამდვილი სამეცნიერო ექსპედიცია ჩამომეყვანა.

მონასტრის სანახებს გავცდით და მცირე ველზე, ერთადერთ, თავმომწონე ნაძვს ჩავუარეთ. როგორი იყო ჩვენი გაოცება, როცა იქ ჯერ კიდევ მთვლემარე ღველფს წავა-

წუდით. ღველფთან ჯაჭვის პერანგი და ზიზველი ხმალი ეგდო.

ათასნაირი აზრი დამიტრიალდა გონებაში. ვისი შეიძლებოდა ყოფილიყო ეს ახალთახალი ნაბანაკარი, ვინ და სად მოიძია ეს ძველთაძველი საჭურველი? იქნებ ბოროტმოქმედნი იყვნენ სადმე სულ ახლოს. საკვირველებით აღსავსე ამ ხეობაში არაფერი არ იყო მოულოდნელი.

უბრად მივდიოდით. ველი დაილია და ისევ კლდოვანები დაიწყო. ლოდებს მოსდებოდა ხავსი და სურო. ჭორომიან კალაპოტში დუღდა, რძისფრად ილვრებოდა ხეთეთურა. მალე მის სათავეს მივაღწიეთ. პირდაპირ კლდის ძირიდან ერთბაშად გადმოქუხდა მთელი მდინარე. კლდის წვერთან, ჩამავალ მზის სხივებს გაენათებინა მოზრდილი გამოქვაბული. ნუნუკამაც შენიშნა იგი, მხოლოდ ამირინდო იდგა უმწეოდ და ამაოდ იჩრდილებდა დაწითლებულ თვალებს.

— ეხ, ვერ ვხედავ, ბიძიებო, დავბერდი, დავბერდი. წინა პირი ამოშენებული აქვს?

— კი, ბიძია ამირინდო, ნამდვილად ამოშენებული აქვს.

— მისრის თავშესაფარია. რაც იმ დალოცვილ წიგნში წერია, ყველაფერი სწორი ყოფილა.

— ესეც ცხრაციხეთის მეექვსე ციხე.

— კი მაგრამ, ეს ციხედ ჩაითვლება? — შემეკამათა ნუნუკა.

— ხელოვნური კედლით გამაგრებულ ასეთ მღვიმეს სახიზარს ან კლდე-ციხეს ეძახდნენ. ამიტომ ვფიქრობ, ქარაფოვანის ქვაბი ცხრაციხეთის მეექვსე ციხე უნდა იყოს.

— ასეა, აბა! — დამეთანხმა ამირინდო-ბრძენი.

ნუნუკამ ხმა გაკმიდა.

უკვე დაღამებულიყო. იქვე ნაძვი შევარჩიეთ და მის ძირას დავბინავდით. ვერაფრით ვერ დავიძინე. სიბნელეში გოლიათი მისრი მისრელი მელანდებოდა, ხან ჭაბუკი და ციხის ბურჯებს შორის შმაგად მებრძოლი, ხანაც—მიხრწნილი და მომაკვდავი, გამოქვაბულში მიგდებული და ჩვენებურ მონადირესთან მავედრებელი...

●

ძილი არ მეკარებოდა. ვტრიალებდი, ვბორგავდი, და განთიადს დაღლილი შევხვდი.

უცნაურ სისუსტეს ვგრძნობდი, თავი მიბრუოდა. რატომღაც ყველაფერი მეჯავრებოდა და თვით ფრინველთა ხალისიანი ჭიკჭიკიც მაბრაზებდა. ძვირად დამიჯდა ჩემს ყმაწვილკაცობაში პირველი ღამის ტეხა.

ხეთეთურას ანკარა ტალღებში ვიბანავე. ცივმა წყალმა გამომაფხიზლა, ცოტა მოვცოცხლდი. ბარგი შევკარით და გზა განვაგრძეთ.

ხელმარცხნივ ზიზველი სერი გამოჩნდა. ანაზდად ზედ მწკრივად მიმავალი ხუთი უცნობი შევნიშნე. მეუცნაურა, წუხანდელ ჩვენებათა გაგრძელებად მივიჩნიე. ხმას არ ვიღებდი, მაგრამ მალე ნუნუკამაც დაინახა ისინი და თვით ამირინდომაც:

— უყურე შენ! ვინ უნდა იყვნენ?

მომაგონდა უცნაურად ნაპოვნი ლახტი, სამჯერ გაგონილი საბრძოლო ყიჟინა, ზიზველი ხმალი, ჯაჭვის პერანგი და მთვლემარე ღველფი ახალ ნაბანაკარზე. შიშის თუ გაოცების ჟრუანტელი მივლიდა ტანში. ახლა, უკვე, აღარ ვიცოდი, სად იწყებოდა ცხადი და სად სიზმარი. იმათაც შეგვნიშნეს, შეჩერდნენ და გამოგვეხმაურნენ:

— ე-ჰე-ჰეი!

მეც, რამდენადაც შემეძლო, ვაჟკაცურად ვუპასუხე:

— ე-ჰე-ჰეი!

დაეშვნენ. შევკრთი. ათრთოლებული ნუნუკა მე მომეკრა. ამირინდო-ბრძენსაც დაჰკარგოდა ფერი. მოგვიახლოვდნენ. ორ მათგანს შუბი ეჭირა, ორნიც ზიზველ ხმლებს ატრიალებდნენ. მხოლოდ ერთი იყო უიარაღოდ. უკან მოდიოდა ტაატით.

— ვინა ხართ? — ვეღარ მოვითმინე მე.

— ლეხერლები.

— რაო?! ლეხერლებიო? აი, თქვენი ოჯახი დაიქცა, — გამოერკვა ამირინდო, — რა ეშმაკმა მოგიყვანათ აქ?!

ახლაღა მომაგონდა: ლეხერა—ლეჩხუმის ერთი ადგილია, მდინარე ლაჯანურის ხეობაში, საყორნიის მთის გადაღმა. მოსულები თხუთმეტ-თექვსმეტი წლის ბიჭები იყვნენ. ყველას ყოჩაღად ეჭირა თავი, მხოლოდ ის უიარაღო იყო ცუდად, ტანსაცმელზე სისხლის ლაქები აჩნდა, სახე ადგილ-ადგილ დალურჯებოდა. „სცემეს!“ — ამეკვიატა ფიქრი. — „რატომ? ნეტავ რისთვის სცემეს?“

ნუნუკას ჯერ კიდევ ეშინოდა, არ მშორდებოდა.

— აბა, რა ამბავია თქვენს თავს? — დაიწყო გამომძიებელივით ამირინდო-ბრძენმა.

— სოკოზე წამოვედით, ბიძია, — გამოეყო ხუთეულს ერთი მათგანი, — გზა დაგვებნა და ამ ხეობაში მოვხვდით. ბევრი ვიბორიალეთ, ვერაფრით ვეღარ გავაღწიეთ.

— შენი სახელი? — ჩავერიე მეც.

— გოგიტა მქვია, — მორჩილად მიპასუხა ბიჭმა.

— იარაღი სად გიშოვნიათ?

— მაცალე! — თვალები დამიბრიალა ამირინდო-ბრძენმა და კვლავ ჩვეული მრისხანებით განაგრძო დაკითხვა:

— ამ ადამიანს რა დამართეთ, სისხლში რომ არის მოსვრილი?!

— ხრამში გადაგვივარდა, — ხმალი ეჭირა და კანი გაიკაწრა.

— კი არ გადაგივარდი, თვითონ გადამაგდე! ვფარიკაობდით, ვერ მაჯობა და ხელი მკრა.

— არაფერიც! არაფერიც!

საქმე ჩხუბამდე მივიდოდა, ამირინდოს რომ არ ეყვირა:

— ჰაიტ, სად გგონიათ თავი! დაწყნარდით! ბიჭები გაისუსნენ.

— იარაღი სად იშოვეთ?! — დაკითხვა განაგრძო ამირინდო-ბრძენმა.

— იმ სერს გადაღმა... — წინ წამოდგა ზა-



ვავრმანი, ტანმორჩილი ბიჭი.—იმ სერს გადაღმა სამი ციხეა...

— სამი ციხეა?! — შევყვირე მე და გოგიტას გადავეხვიე,—ვაშაა, ცხრაციხეთის ცხრავე ციხე ნაპოვნია!

— ვაშაა, ვაშაა! — ამყვნენ ნუნუკა და ამირინდო.

ბიჭები ჯერ დაიბნენ, მერე შეშინდნენ და კინაღამ მოკურცხლეს.

— მოიცათ, ნუ გეშინიათ! — დაამშვიდა ნუნუკამ, მერე სხაპასხუპით მოყვა ცხრაციხეთის ლეგენდას. ჩვენი აღმოჩენებიც არ დავიწყებია.

ბიჭები გაოცდნენ.

— ჩვენ დიდ ციხეში ვიპოვეთ იარაღი, — ყვილას დაასწრო გოგიტამ, — გავფერეთ, აფისხით და ომობანას ვთამაშობდით. მერე მარცხი მოგვივიდა, დედას გეფიცებით, ძალად არ ჩამიგდია ბუხუტია ხრამში.

— ჰმ, ძალად არ ჩამიგდიაო! — წამოყო თავი ბუხუტიამ.

—მოიცათ! — წესრიგი დაამყარა ამირინდო-ბრძენმა.

— ბუხუტია გაბრაზდა, — განაგრძო გოგიტამ, — იარაღი დაყარა და გაიქცა, ჩვენც ყიჟინით დავედევნეთ.

— ახლა ყველაფერი გასაგებია. ის ლახტი ვინ გადააგდო?

— რა, ბიძია? ის ხორკლიანი რკინა? შერმადიას ჰქონდა, მძიმეაო, ვეღარ ზიდა.

— უუ, მაგას შეურცხვეს თავი, რა სახელს აფუჭებს! ბიჭო, ვინ მოგცათ ნება, აგილიათ ძველი იარაღი და აბნევთ. ჰაი დედასა, ყურები უნდა აგახიოთ კაცმა. რომელ კლასში ხართ?

— ამბროსია, შერმადია და ბუხუტია მეშვიდეში არიან, მე და პაჭულია — მერვეში, — გვითხრა გოგიტამ.

—მერე, თქვე ოჯახქორებო, ისტორიას არ სწავლობთ? თათარი რო შემოდიოდა ჩვენთან, მეტსკი არაფერს შვებოდა. ციხეებს ანგრევდა, ეკლესიებს ძარცვავდა და ხალხს ხოცავდა. თქვენ, ბიძია, ქე დაგიხოციათ ერთმანეთი. ძველი ნივთებიც დაგიბნევიათ. სოფელში რო ჩახვიდეთ, სახლებს ცეცხლი არ წაუკიდოთ, თქვენი პატრონი უცეცხლოდაა დამწვარი. ადამიანი რომ იბადება, ჭკუა ჭიპივით კი არ გამოჰყვება, მერე იძენს. თქვენ რა ღმერთი გაგიწყრათ?!

ბიჭები გაწითლდნენ და თავები ჩაქინდრეს. ამირინდო-ბრძენი კიდევ აპირებდა შეგონების გაგრძელებას, მაგრამ საქმეში ისევ მე ჩავერიე:

— სანამ არ დაღამებულა, ჯობს, ციხეებისაკენ წავიდეთ!

— წავიდეთ! — გაუხარდათ ბიჭებს.

ქედზე გადავდექით. სულგანაბული გავცქეროდით დიდებულ სურათს: პირდაპირ კლდოვან გორაზე ჩადუღაბებულიყო ცხრაქონგურიანი, უზარმაზარი ციხე. შორს, ცის დასალიერში ორი ნატიფი კოშკი მოჩანდა. გაოცებული ვიდექი და მხიბლავდა ცხრაციხეთის ხორცშესხმული ლეგენდა.

ციხის მისადგომები ციცაბო და ძნელად მისასვლელი აღმოჩნდა. ფეხი გვისხლტებოდა, მზე გვაცხუნებდა და ოფლი დაგვწურწურებდა. ხანგრძლივი წვალების შემდეგ პირველი მე და ნუნუკა ავედით. ბიჭებმა იმარჯვეს და ამირინდოც ამოიყვანეს.

ქვის თაღოვან ჭიშკარს მიღმა, მაღალი კედლებით შემოზღუდული მოზრდილი მოედანი ჩანდა. მოედნის შუაგულში აუზის მსგავსი რამ შევნიშნეთ, მის ხელმარჯვნივ კი — პატარა ეკლესიის ნანგრევები.

— აქ შემოდით, აქ შემოდით! ნახეთ ერთი რა ამბავია?! — შეიცხადა ნუნუკამ.

ტაძარში შევედით და სახტად დავრჩით. დანგრევას გადარჩენილ ერთადერთ კედელზე დიდი, უშნო ასოებით იყო მოჯღაბნილი: გოგიტა, ბუხუტია, პაჭულია... სახელების წერას რომ მორჩენილიყვნენ, მხატვრობა დაეწყოთ: ისარგაყრილი გული, ფრთოსანი ანგელოზები და ათასი სხვა სისულელე ამოეკვეთათ კედელზე. ამირინდო ისე იყო გაცეცხლებული, სულს ვეღარ ითქვამდა.

— გვაპატიეთ! — აცრემლდნენ ბიჭები.

— აბა, გეყოფათ! ახლავე სუფთად წაშალეთ თქვენი ნაკაიკაცარი! — ბრძანა ამირინდომ.

ბიჭები დატრიალდნენ. რამდენიმე წუთში კედელი გაიწმინდა.

ნუნუკა სუფრის გამშლელად ძირს დავტოვეთ და ჩვენ ქონგურებზე გავედით. აქედან უკეთ ჩანდა ის ორი კოშკი. ალბათ, სვანეთში გადასასვლელის ყელს კეტავსო, — განმარტა ამირინდო-ბრძენმა.

იარაღი ერთი ქონგურის თახჩაში შევინახეთ. მერე ძირს ჩამოვედით.

ნუნუკამ სადილზე გვიხმო. ლუკმა არ გადადიოდა ყელში, წყურვილი მახრჩობდა.

— არ შეიძლება, ამოდენა ციხეს წყალი არ ჰქონოდა! — წამოდგა ამირინდო-ბრძენი.

— აბა, იმ ხაროში ვნახოთ!

ჩავიხედეთ. სიბნელეში ვერაფერი გავარჩიეთ. ბოლოს მე შევნიშნე საფეხურების მსგავსი რამ ცალ მხარეზე. თოკი გამოვიბი და ჩავეშვი. ფეხს ძლივს ვიკიდებდი სველ, ხავსიან ფიქალზე. უცებ საბჯენმა მიღალატა და ჩავვარდი. რბილ ფსკერზე აღმოვჩნდი. არაფერი მტკენია. ძალზე ბნელოდა. ვინანე, ჯიბის ფარანი რომ თან არ ვიგულე. სადღაც შორს მკრთალად მოციალე სინათლე შევნიშნე და იქეთ წავხოხდი. ანაზდად წყაროს წავაწყდი, თიხის მილიდან საამოდ მოლივლივებდა. სახეში გრილი ჰაერის ჰავლი მცემდა. მივხვდი, რომ გვირაბის პირას ვიდექი. მათარები ავავსე და ზევით ავედი. ახალმა ამბავმა მთლად გადარია ბიჭები; უკლებლივ ყველა აპირებდა ხაროში ჩასვლას.

— არავითარ შემთხვევაში! — ბრძანა ამირინდო-ბრძენმა, — უკვე მოსაღამოვდა, გვირაბებში ძრომიალის დრო აღარ არის.

ასე დასრულდა ჩვენი ექსპედიცია და ასე იქცა ცხრაციხეთის ლეგენდა სინამდვილედ. ვუსხედით მოლზე ნუნუკას გაშლილ სუფრას. განცდილი მღელვარებისა და სიხარულისაგან ლუკმა ყელში არ გადაგვდიოდა და სიამაყით გავყურებდით ჩვენი ამდენი ხნის ოცნებას და ჩვენს აღმოჩენას.

ზურგჩანთები რომ მოვიკიდეთ და ერთხელ კიდევ მივხედეთ დიდ ციხეს, ამირინდო-ბრძენმა გულდაწყვეტით მითხრა:

— „მისრიანი", „მისრიანი" რომ ვერ ვნახეთ?! — და ხმა გაებზარა: — დაიფიცე, დაიფიცე, გურამუკა, რომ „მისრიანს" მაინც იპოვნი და იმ წიგნის ჯავრს საფლავში არ ჩამაყოლებ!

—ვიპოვნი, ამირინდო-ბიძია, — მივუგე მე გულწრფელად, — აუცილებლად ვიპოვნი, „მისრიანის" ერთი წიგნი მაინც თუ სადმე არსებობს!.



ბ. ბელინსკი: შთაგონება არ არის მხოლოდ და მხოლოდ მხატვრის კუთვნილება: უიმისოდ შორს ვერ წავა თვით მეცნიერიც, უიმისოდ ხელოსანიც კი ბევრს ვერაფერს გააკეთებს, რადგან შთაგონება ყველაფერშია საჭირო, ყოველგვარ საქმესა და ყოველგვარ შრომაში.

ფ. გოია: ჭკუას მოკლებული ფანტაზია საშინელებაა. ჭკუას შერწყმული ფანტაზია კი ხელოვნების დედაა, მისი სასწაულების წყაროა.

დ. დიდრო: ფანტაზია! ფანტაზიის გარეშე არ შეიძლება იყოს პოეტი, არც ფილოსოფოსი, არც ჭკვიანი კაცი, არც მოაზროვნე არსება, საერთოდ, არ შეიძლება იყოს ადამიანი.

ე. კანტი: ადამიანური ფანტაზია თან გვახლავს სამარის კარამდე... ფანტაზიის გარეშე ვერ მოვერეოდით ჩვენს მარტოობას... ვისაც თავისი ფანტაზიის ალაგმვა არ ძალუძს — იგი ფანტაზიორია, ვისაც დაუოკებელი ფანტაზია სიკეთის იდეასთან აქვს შეხამებული — იგი ენთუზიასტია; ვისაც მოუწესრიგებელი ფანტაზია აქვს — იგი მეოცნებეა.

ვ. ი. ლენინი: ფანტაზიის უნარი უსაზღვროდ ძვირფასია. ტყუილად ფიქრობენ, რომ იგი მხოლოდ პოეტს სჭირდება. ეს სულელური, ცრუ რწმენაა. ფანტაზია თვით მათემატიკაშიც არის საჭირო, თვით დიფერენციალურ და ინტეგრალურ გამოანგარიშებათა აღმოჩენაც კი შეუძლებელი იქნებოდა ფანტაზიის გარეშე.

კ. მარქსი: წარმოსახვის უნარი დიდი ნიჭია, რომელმაც ასე დიდად შეუწყო ხელი კაცობრიობის განვითარებას.

ნ. ოსტროვსკი: მე მჯერა მხოლოდ ერთი რამ: შთაგონება მოდის შრომის დროს.



# ქართული თეატრი

**ნოდარ გურაბანიძე**

ქართული საბჭოთა თეატრის სათავეში დგას დიდი რეჟისორი და სცენის რეფორმატორი კოტე მარჯანიშვილი. მის სახელთანაა დაკავშირებული ჩვენი თეატრის აღორძინება და გაახლება. სანამ იგი თავის მშობლიურ, ქართულ წიაღს დაუბრუნდებოდა, მანამდე განვლო დიდი და სახელოვანი გზა: რუსეთში, ბალტიისპირეთში თუ უკრაინაში არა მარტო ბრწყინვალე სპექტაკლები დადგა, არამედ შექმნა ახალი თეატრებიც. იგი იყო ცეცხლოვანი ტემპერამენტის, დაუშრეტელი ფანტაზიის, ღრმად განათლებული რეჟისორი, რომლის გენიას შეეძლო შეექმნა (და შექმნა კიდეც) ახალი თეატრალური სინამდვილე. იგი დგას იმ დიდ ხელოვანთა შორის, რომლებიც ახალ და უცნობ გზებს მიიკვლევენ ხელოვნებაში. მისი გასაოცვიფრებელი ფანტაზია და ნიჭიერება თითქმის ყოველთვის მზად იყო იმისათვის, რომ ყველგან და ყოველთვის შთაგონება ეპოვა. იგი იყო მტერი ცალმხრივობის, მოწყენილობის, ხელოვნებაში ზოგჯერ მომძლავრებული ტრაფარეტებისა.

კ. მარჯანიშვილი ამბობდა: „თეატრალური ხელოვნების მიზანი ერთია — მიანიჭოს ადამიანებს სიხარული". მისი სპექტაკლები მართლაც აზრის, გრძნობების, ახალი ფორმების ზეიმი იყო.

1922 წლის 25 ნოემბერი სამუდამოდ შევიდა ქართული საბჭოთა თეატრის ისტორიაში, როგორც მისი პირველი დღე, — ამ დღეს შედგა კოტეს მიერ დადგმული სპექტაკლის პრემიერა. როცა კოტე მარჯანიშვილი საქართველოში ჩამოვიდა — ქართული თეატრი მძიმე მდგომარეობაში იყო. იგი, როგორც მთლიანი ორგანიზმი, არ არსებობდა—ძველი თაობის დიდი მსახიობები აღარ მოღვაწეობდნენ, ნიჭიერი ახალგაზრდები ნამდვილი ხელმძღვანელის გარეშე იყვნენ დარჩენილები. ქართული თეატრის აღორძინების მიმქრალი იმედების გაღვიძება კოტე მარჯანიშვილმა შეძლო. მან შემოიკრიბა ახალგაზრდები, აღანთო ისინი შემოქმედებითი ცეცხლით და დადგა ესპანელი დრამატურგის ლოპე დე ვეგას პიესა „ცხვრის წყარო".

ამ ბრწყინვალე სპექტაკლის ფორმა, მისი ფერადოვნება, მჩქეფარე რიტმი, პლასტიკური ნახატი სავსებით გამოხატავდა პიესის რევოლუციურ სულისკვეთებას.

ქართული თეატრი კოტე მარჯანიშვილმა ერთბაშად აიყვანა ევროპულ დონემდე; ნამდვილ პროფესიულ, კულტურულ სიმაღლეზე. ეს გახლდათ სინთეტიკური სპექტაკლი, ე. ი. სპექტაკლი, სადაც ორგანულადაა ურთიერთს შერწყმული მსახიობის სიტყვა და მოქმედება, დეკორატიული გაფორმება და მუსიკა, რიტმულობა და პლასტიკურობა. აქ ყველაფერი თავისებურად ამეტყველდა, ყველაფერმა ახალი ფორმა მიიღო. კ. მარჯანიშვილი, ქმნიდა რა ქართულ სპექტაკლს, აყალიბებდა ქართულ სამსახიობო სკოლას, რომელსაც ამშვენებენ ისეთი სახელები, როგორიცაა: ვერიკო ანჯაფარიძე და უშანგი ჩხეიძე, აკაკი ვასაძე და აკაკი ხორავა, თამარ ჭავჭავაძე და შალვა ღამბაშიძე, ალექსანდრე ჟორჟოლიანი და გიორგი შავგულიძე. მისი რეჟისორული სტილის გავლენის შედეგად ჩამოყალიბდნენ ისეთი რეჟისორები, როგორიც იყვნენ უნიჭიერესი სანდრო ახმეტელი, დოდო ანთაძე, არჩილ ჩხარტიშვილი და სხვები. მისივე ხელმძღვანელობით მუშაობდნენ ბრწყინვალე თეატრალური მხატვრები: დავით კაკაბაძე, სიდამონ-ერისთავი, ირაკლი გამრეკელი, ელენე ახვლედიანი და პეტრე ოცხელი. მან შეძლო თანაბარ სიმაღლეზე აეყვანა თეატრის ყველა შემადგენელი ნაწილი—რეჟისურა, მსახიობის შემოქმედება, მხატვრობა, მუსიკა. მანვე აღზარდა ქართველი თეატრალური მაყურებელი, დახვეწა მისი გემოვნება, განუვითარა მაღალი თეატრალური ხელოვნების მოთხოვნილება.

ამაშია კ. მარჯანიშვილის ისტორიული დამსახურება. მან იგრძნო უშანგი ჩხეიძის ნიჭის თავისებურება, მისი მრავალმხრივობა, მისი სულის მთრთოლვარება, ვერიკო ანჯაფარიძის პლასტიკური ნიჭი, მისი განსაკუთრებული სცენიურობა, თეატრალური მომხიბლველობა, ტრაგიკული ბედის ქალების გულის სიღრმეში ჩაწვდომის უნარი. როგორც ვთქვით. მარჯანიშვილმა მრავალი მსახიობი აღზარდა, მაგრამ სწორედ ამ ორი მსახიობის შემოქმედებაში ყველაზე ნათლად გამოიკვეთა მსახიობის მარჯანიშვილისეული იდეალი...



კოტე მარჯანიშვილი

---

**დასასრული. იხ. „პიონერი" № 10, 11.**

სრულიად ახალგაზრდა უშანგი ჩხეიძე მან ჰამლეტის როლში გამოიყვანა და უღრმესი ტრაგედია ჰუმანისტური მსოფლმხედველობისა, კეთილშობილი ადამიანისა, რომელიც ახალი ეპოქების წინამორბედია, მძაფრად გადმოშალა. სამყაროს რღვევის წინ დამდგარი ჭაბუკი ჰამლეტის გაორება, სულის სიფაქიზე, ტრაგიკული გამოუვალობის შეგრძნება ამ გმირს უაღრესად ადამიანურ სიმაღლეზე წარმოგვიდგენდა.

ქართულ სცენაზე არც ერთ სპექტაკლს არ უცოცხლია ისე დიდ ხანს, როგორც „ურიელ აკოსტას", და არც მანამდე ასულა კოტე მარჯანიშვილის ნიჭი ასეთ სიმაღლეზე. დღემდე ეს სპექტაკლი ნამდვილი თეატრალობის, აზრისა და ემოციის სცენიდან გადმოცემის განუმეორებელი ნიმუშია. მასში ბედნიერად არის შერწყმული რეჟისორული აზრი, მსახიობთა თამაში, პეტრე ოცხელის დეკორაციები, სინათლის ეფექტები, კოსტუმები. ეს არის ჭეშმარიტად უზადო სპექტაკლი და, მიუხედავად იმისა, რომ მას დიდი ხნის ისტორია აქვს, მრავალი შემსრულებელი დღეს უკვე აღარ არის ცოცხალი და მრავალი რამ ძველებურის ძალით აღარ მოქმედებს ჩვენზე, იგი მაინც, ვერიკო ანჯაფარიძის დაუჯერებელი ტალანტისა და სპექტაკლში ჩაქსოვილი უძლიერესი „სულიერი მუხტის" მეშვეობით, კვლავ საუკეთესოა. ამავე დროს „ურიელ აკოსტა", თითქოსდა, კოტე მარჯანიშვილის მთელი შინაგანი სამყაროს, მისი სულის სრულყოფილი გამოვლენაა. ერთ ფრაგმენტში დიდი რეჟისორი წერს: „მე ვფიქრობ, რომ ადამიანის მისწრაფებების მთელი არსი საკუთარი შინაგანი სამყაროს გახსნაა სხვისი სულიერი ცხოვრების მეშვეობით". ამ აზრით, სპექტაკლი „ურიელ აკოსტა" კოტე მარჯანიშვილის მთელ სახეს გვიჩვენებს, არა მარტო შემოქმედისას, არამედ მის ადამიანურ, მის პიროვნულ თვისებებსაც. უშანგი ჩხეიძე იგონებს: „კოტე მარჯანიშვილს, როგორც სკულპტორს, ხელთ ჰქონდა მასალა — მსახიობის სხეული, და გატაცებით ძერწავდა მისგან საჭირო კომპოზიციებს".

კოტე მარჯანიშვილმა ასევე დიდი ამაგი დასდო ქართულ საბჭოთა დრამატურგიას. სწორედ მისი აქტიური მხარდაჭერითა და წახალისებით იქმნებოდა ახალი პიესები. სწორედ მან დადგა პირველად მაშინ სრულიად ახალგაზრდა პოეტის კარლო კალაძის „როგორ" და „ხატიჯე", შ. დადიანის „კაკალ გულში", პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი".

კოტე მარჯანიშვილის ცხედართან ანატოლი ლუნაჩარსკიმ თქვა: „მოკვდა მარჯანიშვილი და მისი მსგავსი მხატვარი ჩვენ აღარა გვყავს. თეატრალური აზრი დაობლდა". მართლაც, კოტე მარჯანიშვილი განუმეორებელი ფიგურა იყო, მისი ძალისა და გაქანების ადამიანები თეატრალურ სამყაროს იშვიათად მოევლინებიან ხოლმე, მაგრამ მისი მემკვიდრეობის უკვდავება იმაშიცაა, რომ მან ქართულ თეატრს აღუზარდა მსახიობებისა და რეჟისორების მთელი თაობა, რომელმაც განაგრძო და განავითარა მის მიერ დაწყებული საქმე.

რუსთაველის სახ. თეატრს კოტე მარჯანიშვილის შემდეგ ხელმძღვანელობდა მისი უნიჭიერესი მოწაფე სანდრო ახმეტელი. თუ კოტე მარჯანიშვილის მიერ შექმნილ თეატრს პირობითად შეიძლება ეწოდოს პოეტური თეატრი, ს. ახმეტელი ქმნიდა გმირულ-რომანტიკულ თეატრს. იგი ამბობდა, რომ რევოლუციური საქართველოს შემართება, ხალხის გაღვიძებული შემოქმედებითი გენია უნდა აისახოს დიდსა და მასშტაბურ ფორმებში. დღევანდელი დღის ჰეროიკა, ენთუზიაზმი, რომანტიკულობა თავის გამოხატულებას ვერ იპოვის ფსიქოლოგიური თეატრის ფორმებით, ამიტომ საჭიროა რომანტიკულად ამაღლებული, ცეცხლოვანი, მგზნებარე სპექტაკლების შექმნაო. „ყოველდღიურ საქმიანობაში მე ვხედავ უდიდესი აზრების მატარებელ გიგანტებს... მე არ ავსახავ იმ ადამიანებს, რომლებიც კანტორაში მუშაობენ, არ ვლაპარაკობ, როგორ მუშაობს, როგორ დადის ტრამვაით საბჭოთა მოქალაქე... მე მინდა ვილაპარაკო იმაზე, თუ რა ახალი აზრებით ცხოვრობს იგი, როგორი ენთუზიაზ-



სანდრო ახმეტელი



სპექტაკლ „ანზორის" დეკორაცია.

მხატვარი ირაკლი გამრეკელი



აკაკი ხორავა კარლ მოორის როლში (ფ. შილერის „ყაჩაღები“)

მით შრომობს. მინდა ვიხილო გმირები, ენთუზიასტები... ყველა ამის გაკეთება შეიძლება არა ყოფითი თეატრის საშუალებით, რომელიც ეხება ყოველდღიურ ინტერესებს, არამედ ჰეროიკული თეატრის საშუალებით“.

ს. ახმეტელი ეყრდნობოდა ქართულ კულტურას, ქართველი ხალხის ნაციონალურ თავისებურებას, ისტორიის გრძელ მანძილზე ჩამოყალიბებულ ზნე-ჩვეულებებს. მაგრამ მისი თეატრი იყო არა ნაციონალური, არამედ ჭეშმარიტად რევოლუციონური, მებრძოლი სულისკვეთებით გამსჭვალული,ვინაიდან მისი შთაგონების სარკე საბჭოთა სინამდვილე იყო. მის სპექტაკლში ყველაფერი მოძრაობს, ჩქეფს, იბრძვის, ყოველი სცენა ალსავსეა მგზნებარებით, რიტმულობით, მოხდენილი პლასტიკური ხედვებით. სცენაზე დამკვიდრდნენ რევოლუციური მასები, რომელთაც ამოძრავებთ ვაჟკაცური სულიერი ენერგია. მასა „გაინდივიდუალებულია“ — ანუ მას ცოცხალი, კონკრეტული ადამიანის სახე აქვს მინიჭებული. ასეთი იყო რევოლუციური სულისკვეთებით გამსჭვალული მისი სპექტაკლები „ რღვევა“ და „ანზორი“, სადაც ხალხის მასები აღმდგარნი არიან სოციალური და პოლიტიკური უსამართლობის წინააღმდეგ. ამ მასების სათავეში არიან გონიერი, შეუპოვარი, გმირი ადამიანები, რომელთა როლს ნამდვილი რომანტიული გაქანებით ასრულებდა აკაკი ხორავა. ახმეტელის შემოქმედების გვირგვინია მის მიერ დადგმული ფ. შილერის „ყაჩაღები“. ეს გახლდათ ღრმა აზრის, დიდი გრძნობების დამტევი სოციალური ტრაგედია. ახმეტელმა შესძლო ეჩვენებინა მთელი ეპოქის მამოძრავებელი ტენდენციები, მისი სულისკვეთება. შილერს მან შემოაცალა მელოდრამატული ელემენტები და გამოკვეთა პიესის რევოლუციური შინაარსი.



სერგო ზაქარიაძე ოიდიპოსის როლში (სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“)

ს. ახმეტელის საუკეთესო სპექტაკლებში ყოველთვის დიდი პრობლემებია წამოჭრილი, ნაჩვენებია იდეისთვის თავდადებული ადამიანების ბრძოლა და მოქმედება. იქ ყოველთვის საზოგადოებრივი ცხოვრების მღელვარე საკითხებია გაშლილი და ყველაფერი ეს ნაჩვენებია ფართო მონასმებით, ამაღლებული ტონით, რომანტიული ზეაწეულობით.

ს. ახმეტელმა თითქოს გაზარდა სცენური სივრცე, მეტი მასშტაბურობა მიანიჭა მას; სცენაზე გამოჩნდა საქართველოს ცა, მთები, მთებზე შეფენილი ბანიანი სახლები, ბოჭემის ტყე, ხომალდის გემბანი. მაგრამ ეს ნატურალისტური სიზუსტით კი არ იყო გადმოტანილი, არამედ ძალზე ლაკონურად, ზოგადი, დამახასიათებელი დეტალებით, ნამდვილი მხატვრული ტაქტით და გემოვნებით. მთელი ეს სამყარო შექმნილი იყო მხატვარ ირ. გამრეკელის მიერ, რომელსაც უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ახმეტელის სპექტაკლების, და საერთოდ, რუსთაველის თეატრის, შემოქმედებითი სახის ჩამოყალიბებაში.

კოტე მარჯანიშვილისა და სანდრო ახმეტელის თეატრი მაღალი გრძნობების, მოქალაქეობრივი შემართების, ღრმა აზრებისა და ზნეობრივი იდეალების თეატრია. აქ არ არის მიმბაძველობა, ტრაფარეტი, რუტინა. ეს თეატრი ადამიანებს მოუხმობს უკეთესი მერმისისაკენ, ამაღლებს მის მისწრაფებებს, უნერგავს კაცთმოყვარეობას, პატრიოტულ გრძნობებს. იგი საზოგადოებრივი ცხოვრების და აზროვნების ავანგარდში დგას. სწორედ ეს მთავარი მომენტი აითვისა ქართულმა თეატრმა და სრულყოფილად გამოავლინა ისეთ სპექტაკლებში, როგორიცაა: „ოტელო“, „დიდი ხელმწიფე“, „როცა ასეთი სიყვარულია“, „ოიდიპოს მეფე“, „ბახტრიონი“ (რუსთაველის სახ. თეატრი), „მოკვეთილი“, „მედეა“, „მე ვხედავ მზეს“, „კახაბერის ხმალი“ (მარჯანიშვილის სახ. თეატრი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეზოპეს იგავ-არაკები

მხატვარი დ. ზარაფიშვილი

## თაგვები და კატები



თაგვები და გარეული კატები ერთმანეთს ეომებოდნენ. თაგვები ყოველთვის მარცხდებოდნენ. «ეს იმის ბრალია, რომ სარდლები არა გვყავსო»,—იფიქრეს თაგვებმა. სულ მალე, სარდლებიც აირჩიეს. სარდლებმა, აქაოდა სხვებისაგან უნდა გამოვირჩეოდეთო, თავზე დიდრონი რქის გვირგვინები დაიდგეს. დაიწყო ომი. თაგვებს ჯერც სარდლებმა უშველეს. დამარცხებულებმა სოროებს მიაშურეს და თავი გადაირჩინეს. სარდლები კი გვირგვინებით გაიჭედნენ სოროების შესასვლელში და კატებმა შესანსლეს.

**ფუჭი დიდება ღუპავს ადამიანს.**

## მზე და ქარი



ქარი მზეს გაეჯიბრა,—რომელი უფრო მალე გავხდითო ხალხს ტანისამოსს. დაჰბერა ქარმა და გამვლელ-გამომვლელებს ტანსაცმელი აუფრიალა. მაგრამ შეცივნული ადამიანები ხელებით გულმოდგინედ იმაგრებდნენ ტანისამოსს. მზემ ჯერ გამოანათა და არე-მარე დაათბო, მერე კი ისე დააცხუნა, რომ ხალხმა, რაც ზედ ეცვა, ყველაფერი გაიძრო. ასე მოუგო მნათობმა ქარს.

**მიზანს ჩაგონებით უკეთ მივაღწევთ ხოლმე, ვიდრე ძალდატანებით.**

## ლომი და მელა



ერთ დღეს ლომი ბუნაგში ისვენებდა. უეცრად, ფაფარში თაგვი შეუძვრა. ლომი შეცბუნდა, წამოხტა და თაგვს მრისხანედ მოჰხედა. მელამ ეს დაინახა და ლომს დასცინა:

— აფერუმ, შენს ვაჟკაცობას, თაგვმა შეგაშინა!

— განა თაგვისა მეშინია,—მიუგო ლომმა,—მე იმას ვშიშობ, თაგვთან ცხოვრებას არ შევეჩვიო, მისი საზიზღარი ჩვევები არ შევითვისო.

**დროზე თუ არ შევებრძოლებით უკეთურ ჩვევებს, ისინი ფეხს მოიკიდებენ და ვნებას მოგვაყენებენ.**

ბერძნულიდან თარგმნა გ. სარიშვილმა.

# ზოოპარკში

ზამთრის სუსხიან დღეებ-შიც დიდძალი სტუმარი ჰყავს თბილისის ზოოლოგიურ პარკს. ვის არ ნახავთ აქ, მაგრამ, რასაკვირველია, ყველაზე დიდი რაოდენობით — ბავშვებს.

ზამთარში იცვლება პარკის ბინადართა ცხოვრება. რკინის გალიაში გამომწყვდეული ნადირთა მეფე — ლომი გულშემზარავად ღრიალებს, წრიალებს, გრძნობს ზამთარს და არაფრად ეჭაშნიკება დახურულ შენობაში ყოფნა.

ძველებურად აღარ მხიარულობს ინდური სპილო მალკა. იგი არ აკითხავს მისთვის სპეციალურად აგებულ აუზს, არ იღებს გამაგრილებელ აბაზანას და შხაპს, მძლავრად ეჯაჯგურება რკინის კარებს, თითქოს ამით ბოღმას იქარვებსო.

ტროპიკული ქვეყნების ბინადარი ბეჰემოთები შალუნი და მანია საზამთრო ბინაში მოათავსეს — რას იზამ, სითბო უყვართ.

აკლიმატიზებულ ავსტრალიურ პატარა თუთიყუშებს უკვე აღარ ეშინიათ თბილისის ზამთრის და ღია ცის ქვეშ ღამისთევისა.

აი, დადგა ცივი ქვეყნებიდან ჩამოყვანილი თეთრი დათვების ბედნიერებისა და განცხრომის სეზონი — სუსხიანი ზამთარი. ისინი მხიარულად დაბაჯბაჯებენ, სიამოვნებით ბანაობენ ცივ წყალში.

როცა ზამთარს გაზაფხული შეცვლის — ცხოველთა „საბავშვო ბაგებში" ახალდაბადებულნი გამოჩნდებიან. მანამდე კი ცხოვრება ზოოლოგიურ პარკში ჩვეულ „საზამთრო" კალაპოტს მიჰყვება. პარკის „კულუარებში" ბევრი საინტერესო ამბავი ხდება. გიამბობთ რამდენიმე მათგანს.



ეს შემთხვევა მოხდა ირმების მყვირალობისას.

ირმების ერთ-ერთი ვოლიერი რკინის ბადით იყო გატიხრული. ერთი ნაწილი ეკუთვნოდა ყირიმის ხარ-ირემს, მეორე — კავკასიურს.

ყირიმის ირემი მშვიდი, დინჯი ბუნების, კავკასიურ ირემზე უფრო ხნიერი და ტანადი იყო.

მიუხედავად იმისა, რომ ირმები ცალცალკე ცხოვრობდნენ, ისინი მაინც ერთმანეთს მტრობდნენ. კავკასიური ირემი ხშირად რქებით დაეტაკებოდა ხოლმე რკინის ბადეს და ცდილობდა გაეგლიჯა იგი. მან იმდენი ურტყა ბადეს თავისი მძლავრი, ათტოტიანი რქები, რომ ბოძები მოარყია, რკინის ბადით შემოღობილი მოაჯირი გაანგრია და მეტოქეს ეძგერა.

ხარ-ირმებმა სასტიკი ბრძოლა ასტეხეს. ვოლიერში შესვლა საშიში იყო, ზოოპარკის თანამშრომლები გარედან ესროდნენ ქვებს, ჯოხებს, უყვიროდნენ, წყალს ასხამდნენ, მაგრამ ვერ იქნა და ვერ დააშოშმინეს. ხან ერთი წაიჩოქებდა წინა ფეხებით, ხან მეორე. დაუნდობელი ორთაბრძოლა ნახევარ საათს გაგრძელდა. ბოლოს, არაქათგამოლეულ კავკასიურ ირემს მოწინააღმდეგემ რქები მუცელში ატაკა და მიწაზე დასცა. ხუთი წუთის შემდეგ ირემმა სული განუტევა.

გამარჯვებული ირემი დინჯად უვლიდა გარს ვოლიერს და ხანდახან გადახედავდა ხოლმე თავის მსხვერპლს.

დილის 9 საათია. გაისმის ტელეფონის ზარის წკრიალი.

— ალო, ალო! — ეხმაურება ზარის ხმას პარკის თანამშრომელი.

— ზოოპარკია?

— დიახ.

— სამკურნალო კომბინატის საავადმყოფოს მორიგე ექიმი გელაპარაკებათ. რომელიღაც თქვენი ცხოველი საავადმყოფოში გვესტუმრა, გთხოვთ გვიხსნათ არასასურველი „პაციენტისაგან", — სიცილით თქვა მან.

ეს იყო ამიერკავკასიის მაჩვი. იგი საავადმყოფოს მეორე სართულზე ერთ-ერთ ოთახში მოკალათებულიყო.

პარკის თანამშრომლებმა ბევრი სდიეს სწრაფ ცხოველს, ბოლოს ერთმა მათგანმა ტომარა გადააფარა თავზე და „ტყვე" პარკში მოიყვანა.

როგორ მოხვდა პარკის ბინადარი საავადმყოფოში?

გალიაში, სადაც მაჩვია, იატაკი მოასფალტებულია. ერთ ადგილზე ასფალტი ავარდნილიყო. სწორედ ეს ადგილი გამოიყენა მაჩვმა ტყვეობიდან თავის დასაღწევად. რამდენიმე დღე ემუშავა ხვრელის გასაკეთებლად. იგი მეტად მოხერხებულად საქმიანობდა. მიუხედავად იმისა, რომ ყოველდღე ალაგებდნენ გალიას, ცხოველის „დანაშაულებრივი ქმედება" მაინც ვერ შეამჩნიეს. როდესაც მაჩვმა წარმატებით დაამთავრა ხვრელის გათხრა, იგი მდინარე ვერას სანაპიროზე გავიდა, ადვილად გადასცურა მდინარე ვერა და სამკურნალო კომბინატში ამოჰყო თავი.



დილაადრიან ადგილობრივ ვეტერინალურ ამბულატორიაში ბეჰემოთების

მომვლელმა ქალმა მოირბინა:

— ექიმო, იჩქარეთ, მანია ცუდად არის!

ექიმმა დაუყოვნებლივ გასწია ბეჰემოთების ვოლიერისაკენ, გზადაგზა მომვლელ ქალს გამოჰკითხა, რაში იყო საქმე.

— მანიას წუხელ თითქმის არაფერი უჭამია, ამ დილით კი სრულიად არ გაეკარა საკვებს, — მიიღო მან მოკლე პასუხი.

ექიმი ჩაფიქრდა; ბეჰემოთ მანიას ხომ მუდამ განსაცვიფრებელი მადა ჰქონდა — იგი ყოველდღიურად იღებდა 56 კილოგრამ საკვებს და ნამცეცსაც არ ტოვებდა.

„პაციენტთან“ მისვლისას ვეტერინარმა სწრაფად გამოირკვია, რომ დედალი ბეჰემოთი ავად არ იყო — იგი მშობიარობისათვის ემზადებოდა.

მანიამ ადვილად იმშობიარა და ზოოპარკს შეემატა ახალი ბინადარი — სიმსუქნისაგან დამრგვალებული „ვაჟიშვილი“. პატარა ბეჰემოთმა დაბადებისთანავე, „წყალჯომარდობა“ დაიწყო — გაბედულად ყვინთავდა აუზში.

ერთხელ დედამ ეშვებით ერთი ადგილიდან მეორეზე გადაიყვანა პატარა ყაზბეგი (ასე შეარქვეს ბეჰემოთის ნაშიერს) და შემთხვევით დაჭრა ყელისა და ზურგის არეში. ვეტექიმები ყაზბეგს ჰიდროპულტით მანგანუმკალის ხსნარს ასხურებდნენ, შემდეგ კი სტრეპტოციდის მალამოს უსვამდნენ. ბეჰემოთი მალე განიკურნა.

ცხრა თვის ასაკში ყაზბეგი უკვე 120 კილოგრამამდე იწონიდა. მიუხედავად ამისა, იგი მეტად ონავარი იყო: საკვებად მიტანილი კარტოფილიდან ამოარჩევდა ყველაზე დიდს, დაადებდა ფეხს და იატაკზე სრიალებდა. თითქოს ციგურებზე დგასო.

9768

●

ხუთი წლის „ბავშვი“ იყო ჩვენი სპილო, როდესაც იგი საყვარელ სამშობლოს ინდოეთს და დედ-მამას დააცილეს და თბილისის ზოოლოგიურ პარკში მოიყვანეს. მერე სახელიც გამოუძებნეს, მალკა შეარქვეს და სპეციალურ ბინაში მოათავსეს.

მას შემდეგ ოცდარვა წელი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში მალკა გიგანტი გახდა. იგი ახლა ოთხ ტონამდე იწონის და თვისტომთა შორისაც კი „მძიმე წონის ძალოსნად“ ჩაითვლება. ყოველდღიურად მისი კვების რაციონში შედის ბალახი, თივა, ქატო, ქერი, ხილი, ბოსტნეული, ფოთლიანი ტოტები და სხვ. ზაფხულობით დღე-ღამის განმავლობაში 250 კილოგრამ საკვებს მიირთმევს, ზამთრობით — შედარებით ნაკლებს.

ზამთარი იყო. მალკას მომვლელი დილაადრიან მოვიდა სამუშაოზე. ცხოველს ბინა დაუსუფთავა, ღუმელში ცეცხლი დაუნთო, თივა დაუყარა და საწყობში პროდუქტების მისაღებად წავიდა.

უკან რომ ბრუნდებოდა, მომვლელს შემოესმა მალკას ხმა. იგი მიხვდა, რომ ცხოველს რაღაც უჭირდა და ვოლიერს მიაშურა.

მალკა საზაფხულო ვოლიერში დაუხვდა. საიდან გაჩნდა აქ მალკა? საქმე შემდეგში იყო: როდესაც მომვლელი ქალი წავიდა, მალკამ მის წინ დაყრილი თივა ხორთუმით ღუმელს მიაყარა. თივას ცეცხლი წაეკიდა და შენობა ბოლით გაივსო. შეშინებული მალკა რკინის კარებს მივარდა, რომელიც რკინისავე ურდულით იყო გადარაზული, მძლავრი, მოქნილი ხორთუმით ურდული გამოაძრო და საზაფხულო ვოლიერში გამოვარდა, იქიდან კი განგაში ატეხა — მიშველეთო.

ცეცხლი სწრაფად ჩააქრეს. მალკა „მიხვდა“ თავის დანაშაულს და შემდეგ ასეთი „ცელქობა“ აღარ გაუმეორებია.



...ერთხელ, ღამის ორ საათზე, მორიგემ პარკის შემოვლისას შენიშნა, რომ მალკას მოეგლიჯა საზაფხულო ვოლიერის მოაჯირი და გაქცეულიყო.

მორიგემ მალკა გზის პირად მდგომი იპოვა — იგი დინჯად ამტვრევდა ტოტს და შეექცეოდა, სპილოს ხომ ასე ძლიერ უყვარს ხის ფოთლები და ტოტები! ზოგჯერ იგი ღეჭავს 10-12 სანტიმეტრის სისქის ტოტებს. ამიტომ ზამთრობით მალკას დღეში 25 შეკვრა ხის ფიჩხს აძლევენ, ზაფხულში კი — ხის ტოტებს.

მორიგემ მიუალერსა ცხოველს და სცადა ვოლიერისკენ მისი წაყვანა, მაგრამ ამაოდ — სპილოს არ ეთმობოდა გემრიელი ვახშამი.







მორიგემ საერთო საცხოვრებელს მიაშურა, სადაც მალკას მომვლელი ცხოვრობდა. მომვლელი დაუყოვნებლივ მოვიდა, მოეფერა სპილოს, მაგრამ ამ ხერხით რომ ვერაფერს გახდა, მერე სხვა რამ იღონა: 10-15 მეტრით მოშორდა მალკას, ჩაცუცქდა და მორთო ყვირილი: მალკა, ავად ვარ, მიშველეო... მალკა მომვლელისაკენ შებრუნდა, მიუახლოვდა. ეს რომ ქალმა დაინახა, ჩაცუცქული წავიდა იქითკენ, სადაც ვოლიერის გატეხილი კედელი იყო. გიგანტი კვალდაკვალ მისდევდა მას. ამგვარად შეიტყუა ქალმა სპილო ვოლიერში.

ასე დამთავრდა მალკას თვითნებური გასეირნება ზოოპარკის ეზოში.

●

საკავშირო ზოოცენტრის დუშანბეს ბაზიდან თბილისის ზოოპარკის სახელზე ამანათი მოვიდა. ყუთს ზემოდან ეწერა: ,,ფრთხილად, შხამიანი გველებია!" მართლაც, შხამიანი გველების მოვლაპატრონობა მოითხოვს მათი ზნე-ჩვეულების ცოდნას, გამბედაობასა და სიფრთხილეს.

ახალმიღებული ქვეწარმავლების — დედალ-მამალი კობრების — საფოსტო ყუთიდან გველების ვოლიერში დადგმულ დიდ ყუთში გადასაყვანად თავი მოიყარეს პარკის სპეციალისტებმა.

დიდი სიფრთხილით გახსნეს ყუთი. ერთ-ერთმა კობრამ მაინც მოახერხა ყუთიდან ვოლიერში გამოვარდნა. უაღრესად საშიში მდგომარეობა შეიქმნა, რადგან კობრის მიერ დაგესლილი ადამიანი რამდენიმე საათში კვდება.

გაისმა შეშფოთებული შეძახილები: ,,მოკალით! მოკალით!"

მაგრამ პარკის აქვარიუმ-ტერარიუმის განყოფილების ბრიგადირი არ დაიბნა, ჯოხი მოიმარჯვა და დაემუქრა გაავებულ გველს, მარცხენა ხელით კი ყუთი მიაბრუნა გველისაკენ. შეშინებული გველი იმ ყუთში შეძვრა. მაშინ ბრიგადირმა ყუთს ფიცარი ააფარა... ასე დაიჭირეს გაქცეული შხამიანი გველი. ამის შემდეგ კი შედარებით ადვილი იყო კობრის დაბინავება.

●

სამას ოთხმოცდაათი დღის მაკეობის შემდეგ ორკუზიან აქლემს ,,ვაჟი" შეეძინა. აქლემების ვოლიერთან თავი მოეყარა პარკში მყოფ მრავალ სტუმარს. ისინი ინტერესით ათვალიერებდნენ ახალდაბადებულ კოზაკს. როგორც კი დედამ ხალხი შენიშნა, მუჯლუგუნები უთავაზა პირმშოს. იქნებ ეუბნებოდა: — ადექი ჩქარა, თავშესაფარში წავიდეთ, ხომ ხედავ, რამდენი მტერი გვახვევიაო. ამის დანახვაზე ხალხი ახმაურდა, ბავშვებმა სტვენა ასტეხეს — გაავებულ დედას შეუტიეს, — შვილი არ მოჰკლასო. ამ დღეს პარკში მორიგეობდნენ გამოუცდელი მუშები. მათ შესძახეს: ,,აბა, მივეშველოთ პატარასო", და ჯოხებით შეცვივდნენ ვოლიერში. დედააქლემი უფრო გამძაგდა — ხან ერთ მუშას შეუტია, ხან მეორეს. ისინი შეშინდნენ და ვოლიერის ერთ კუთხეში მიიმალნენ. როცა აქლემმა მუშები მოიგერია, კვლავ განაგრძო ახალდაბადებულის ცემა — ადექიო. მაგრამ რა უნდა ექნა კოზაკს, მის სუსტ ფეხებს ტანის ზიდვა არ შეეძლო! ახალდაბადებული, ალბათ მალე სულს განუტევდა, რომ მას დროზე არ მიშველებოდა პარკის უფროსი ბრიგადირი რუბენ არაქელოვი. იგი ოცდაათი წელია აქ მუშაობს, გამბედავი და ენერგიული ადამიანია, შესანიშნავად იცნობს ცხოველების ხასიათს.

ვოლიერში შესვლისთანავე არაქელოვმა მუშებს სთხოვა, სასწრაფოდ დაეტოვებინათ ვოლიერი, შემდეგ სეირის მაყურებლებს მიმართა: — წადით, ნუ აღიზიანებთ ცხოველსო.

როცა სიჩუმე ჩამოვარდა, დედა აქლემიც დამშვიდდა, მუჯლუგუნებს თავი ანება, ჯერ გალოკა შვილი, შემდეგ კი ძუძუ მისცა.

გადარჩენილი კოზაკი იმავე საღამოს ეზოში დასეირნობდა დედასთან ერთად.

ასეთი, თავგადასავლებით მდიდარი ცხოვრება აქვთ თბილისის ზოოპარკის ბინადართ. წლის რა დროსაც არ უნდა ეწვიოთ მათ, ყოველთვის ბევრ საინტერესოსა და საყურადღებოს ნახავთ და გაიგონებთ.

ა. ივარდელი.

ფოტო ოთარ თურქიასი.



ეროვნული ბიბლიოთეკა



ცა-ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტო,
სულის ჩამდგმელო მხარეო,
შენი ვარ, შენთვის მოვკვდები,
შენზედვე მგლოვიარეო.

# აკაკის იუბილე ფოთში

მოგონება

დიდი ქართველი მწერლის აკაკი წერეთლის იუბილე პირველად თბილისში იდღესასწაულეს, შემდეგ ქუთაისში, ხოლო ფოთში, ქალაქის მოწვევით, იუბილე შესდგა 1909 წლის გაზაფხულზე.

მე მაშინ სამოქალაქო სასწავლებელში ვსწავლობდი. მეექვსე კლასში ვიყავი. ვიქნებოდი ასე 14 წლისა, ვწერდი ლექსებს, ვიბეჭდებოდი კიდეც და თავი პოეტად მომქონდა. სკოლაშიაც პოეტს მეძახდნენ. როგორც კი გავიგე, აკაკი ჩამოვაო, დავწერე ლექსი და მივუტანე იონა მეუნარგიას. იონა მეუნარგია ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე იყო, ფოთში მსახურობდა დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის მოადგილედ (ნიკოლაძე ფოთის ქალაქის თავი იყო). მეუნარგიამ ლექსი მომიწონა და მითხრა, წაიკითხეო აკაკის საღამოზე.

აკაკის შესახვედრად მთელი ფოთი ამოძრავდა. შესდგა საგანგებო ცხენოსანთა რაზმი 50 კაცისაგან. ყველა ცხენოსანი გამოწყობილი იყო ჩოხა-ახალუხში და შეიარაღებული ხმალ-ხანჯლით, რევოლვერ-დამბაჩებით. პოეტის შესახვედრად დიდძალი ხალხი მოგროვდა ვაგზალზე. აქვე იყვნენ დელეგატები სხვადასხვა ორგანიზაციებისაგან. განსაკუთრებით გამოირჩეოდა ქართველ ქალთა დელეგაცია, რომელიც ნაციონალურ ტანისამოსში იყო გამოწყობილი. მოწაფეები არ გამოუყვანიათ შესახვედრად.

მატარებელი, რომლითაც აკაკი მობრძანდებოდა, დილას უნდა ჩამოსულიყო, მაგრამ დააგვიანა. თურმე წინა სადგურზე, ჭალადიდში, ხალხი შემოერტყა მატარებელს და არ გაუშვა. საქმე ასე ყოფილა: სწორედ იმ დროს, როცა მატარებელი ჩამოდგა, ბაქანზე მაყრიონი და სიძე-დედოფალი გამოსულა. სიძეს ჭალადიდელი ქალი უთხოვია და ხორგაში მიჰყავდა. მაყრიონის სიმღერა რომ გაიგონა, აკაკიმ თავი გადმოყო ფანჯრიდან. ხალხმა იცნო თავისი საყვარელი პოეტი და იგრიალა: — აკაკი! აკაკი!..

მაყრიონი შეჯგუფდა აკაკის ვაგონთან. სიძე-დედოფალი აკაკის კუპესთან დადგა. მატარებლის ობერ-კონდუქტორმა სამსონ დოლიძემ მატარებელი შეაჩერა. სადგურის უფროსმა მესამე ზარი არ დაჰკრა. გადმოცვივდნენ მგზავრებიც და თავისთავად, სტიქიურად, გაიმართა მიტინგი... აკაკის უმღერეს „კუჩხა-ბედინერი", მიართვეს ღვინო და შამფურზე წამოგებული მწვადები.

აკაკიმ აიღო თასი, დალოცა მეფე-დედოფალი და ხალხს პატრიოტული სიტყვა უთხრა. მხოლოდ ამის შემდეგ დაიძრა მატარებელი.

●

მატარებელი ფოთის ვაგზალზეა. აკაკის გამოჩენას დიდი ალტაცებით შეხვდნენ. იონა მეუნარგიამ იუბილ-

არს სიტყვით მიმართა, საიუბილეო კომისიის თავმჯდომარემ ანა მიქაბერიძისამ კი თაიგული მიართვა.

აკაკი რომ მოედანზე გამოვიდა, ცხენოსანთა რაზმის მეთაური იასონ ჩიჩუა ცხენდაცხენ მივიდა მასთან, ამოწვდილი ხმალი ჰაერში აატრიალა და შესძახა:

— საქართველოს მამას' — ბატონ აკაკის გაუმარჯოს!

იმავ წუთს ცხენოსანთა გუნდმა ძველი მხედრული დააგუგუნა.

აკაკიმ ორივე ხელი გაშალა და ღიმილით ასწია ჰაერში, შემდეგ ხელები გულზე მიიკრა: — გულში გიხუტებთო ყველას...

აკაკი ჩაჯდა ეტლში. ეტლებშივე ჩასხდნენ დელეგაციები. ცხენოსანთა რაზმი და ხალხი გაჰყვა ეტლებს. რაზმი მღეროდა მთელი გზა...

აკაკი მიიყვანეს ნიკოლაძის კოშკში; თვითონ ნიკოლაძე იმ დროს პეტერბურგს იყო საქმეების გამო.

●

საიუბილეო საღამო მოეწყო კლუბში. კოშკიდან კლუბამდე მანძილი ერთი კილომეტრი იქნება. ეს გზა ხალხით იყო გაჭედილი. აკაკის პატივსაცემად მაშინ ფოთში მცხოვრები ბევრი უცხოელი მოვიდა: ბერძნები, ინგლისელები, გერმანელები, იტალიელები, თურქები. აკაკის კოშკიდან გამოსვლას ხალხი შეძახილებით შეხვდა. ქალებმა ყვავილები მიართვეს. მგოსანი მოდიოდა ბიბლიური პატრიარქივით. თეთრი ხუჭუჭა თმები ჰქონდა, თავადაც თეთრი იყო და ძალზე ლამაზი.

აი, მოვიდნენ კლუბში. დარბაზი გაჭედილია. საღამოს მონაწილენი კულისებში ვართ. საიუბილეო კომისიის თავმჯდომარემ ანა მიქაბერიძისამ განკარგულება გასცა — დაიწყეთო.

მაგრამ ამ დროს ქუჩიდან ხმაური მოისმა, თითქოს ზღვა გრგვინავსო. თურმე მოვიდნენ ნავსადგურის მტვირთავი მუშები, ბილეთი ვერ იშოვათ და მოითხოვდნენ:— დაგვანახეთო მაინც აკაკი...

აკაკი მაშინვე დათანხმდა. აკაკი და იონა პარმაღზე გამოვიდნენ.

უკვე შეღამებული იყო: მზე ჩასული, მთვარე ამოსული. მთვარე იყო თეთრი, ცა — ლურჯი, აკაკი — თეთრი და ლამაზი...

როგორც კი გამოჩნდა აკაკი, იგრიალა ზღვა ხალხმა. დიდხანს ისმოდა:

—აკაკი! აკაკი!

— ვაშა! ვაშა!

იგრძნობოდა, რომ ხალხი სანახაობისათვის კი არ იყო მოსული, არამედ დიდი ეროვნული საქმისათვის, რომ ედიდებინა თავისი დიდი შვილი.

და მე გამეხარდა, რომ ჩემი მოწაფური ლექსიც ამ გრძნობით იწყებოდა:

„თავის დიდ შვილს დღეს გადიდებს
ეს პატარა საქართველო...“

არა! აუვავდეს იმედი!..
გულს ვერ გამიტეხს მალარა!..
გმირებს უძახის... უუივის
ჩემი დაფი და ნალარა!..

# „მეც ცისარტყელად მესახვის იმედი მომავლისა“.

მუშებმა თხოვეს აკაკის: ხვალ სამუშაოზე გვეწვიეო. აკაკი დათანხმდა.

●

საღამო გახსნა იონა მეუნარგიამ. ჯერ ნიკოლაძის დეპეშა წაიკითხა. ნიკოლაძე აკაკის ულოცავდა იუბილეს და იწერებოდა: აკაკი ჩემ ხარჯზე მიიღეთო... დამსწრენი დეპეშას ტაშით შეხვდნენ. ამის შემდეგ იონამ სიტყვით მიმართა აკაკის. ალბათ კარგი სიტყვა იყო — ხალხმა ფეხზე ადგომით მოისმინა მისი ბოლო.

სცენა მორთული იყო ყვავილებით, ხალიჩებით. სცენის მარჯვენა მხარეს აკაკი იჯდა სავარძელში. გარშემო თეთრად გამოწყობილი ბავშვები — ათი ბავშვი — შემოუსვეს. იქვე იყვნენ ქართულ კაბებში გამოწყობილი ლამაზი ქალები. კედელზე ყვავილებში იყო ჩასმული რიცხვი „50“. ქვეშ არშიაზე ამოქარგული:

„არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს და ისევე გაიღვიძებს!...“

ორატორებიდან მახსოვს ქართველი ქალების წარმომადგენელი პარასკევა ქავთარაძე, მასწავლებელი მუხრან ხოჭოლავა, სომეხთა წარმომადგენელი ექიმი აპრესიანი. აპრესიანის სიტყვა ძალიან მოეწონა აკაკის. სიტყვა ხალხთა ძმობას ეხებოდა. აკაკი ხომ ხალხთა ძმობის მომღერალი იყო!

დადგა ჩემი ჯერი. მეუნარგიამ მითხრა: „ხალხს არ შეხედო! პირდაპირ აკაკის უყურე და, ხმამაღლა!..“

მეც ხალხს არ შევხედე, პირდაპირ აკაკის მივაჩერდი და დავიწყე ხმამაღლა კითხვა, მაგრამ გულს უფრო ხმამაღლა გაჰქონდა ბაგაბუგი. ოღონდ ეს იყო დაწყებისას, პირველი კუპლეტის წარმოთქმისას. შემდეგ კი — მშვიდად... ოღონდ, როცა კითხვა დავამთავრე, ისევ ავცახცახდი, გული ამოვარდნაზე მქონდა...

აკაკიმ ხელი გამომიწოდა. მეუნარგიამ მიმიყვანა აკაკისთან.

ახლა, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, რა სიამოვნებით ვიგონებ აკაკის მოფერებასა და დალოცვას!..

მახსოვს: ორმა პატარა გოგონამ, მარი მეგრელიძემ და ანიკო ბებიამ, მშვენივრად წაუკითხეს აკაკის მისი ლექსები. ძალიან მოეწონა პოეტს, ორივე გადაკოცნა.

ბოლოს აკაკიმ სამი ლექსი წაიკითხა: „განთიადი“, მეორე არ მახსოვს, მესამე იყო „პოეტი“. ხალხი პოეტს ფეხზე მდგარი უსმენდა.

მეორე განყოფილებაში გაიმართა კონცერტი. ფოთში ჩინებული მომღერლები იყვნენ და კონცერტიც კარგი იყო. კონცერტში მონაწილეობა მიიღო ცნობილმა მომღერალმა ვანო სარაჯიშვილმა, რომელიც საგანგებოდ ჩამოვიდა თბილისიდან.

●

მეორე დღეს აკაკი მუშებს ეწვია. შუადღე იყო. აკაკის გამოჩენისთანავე მუშებმა შაბაში გამოაცხადეს. იმ დროს ფოთის ნავსადგურში 1500-მდე მუშა იყო. რიგი თეთრ ტვირთზე მუშაობდა, რიგი — შავ ტვირთზე — მარგანეცზე. შავი ტვირთი იმიტომ ეწოდებოდა, რომ მარგანეცი შავია და მისი მტვერი მუშას მურავდა, ისე მურავდა, რომ მშობელი დედა ვერ ცნობდა მარგანეცზე მომუშავე შვილს. იმ დროს მუშები პრიმიტიულად მუშაობდნენ: ზურგზე კურტანი ეკიდათ.

მუშებმა ოვაციებით მიიღეს აკაკი. კურტნები ცალმხარეზე მოიგდეს, შემოეხვივნენ მგოსანს და ნავსადგურის მოედანზე გაიმართა მიტინგი. იყო სიტყვები, აკაკის ლექსები, მუშების მადლობა და მომავლის იმედი.

აკაკიმ სიტყვით მიმართა მუშებს:

— ...რასაც მაქებთ, მე ის გმირი არ ვარ! გმირი ხალხშია. თქვენშია, და მომავალიც ხალხისაა, თქვენია... მე მწამს, რომ თქვენ მოიხსნით კურტანს და დადგება უკეთესი დრო...

მიტინგის შემდეგ აკაკი მუშათა სასადილოში მიიწვიეს. გაუმასპინძლდნენ და მოილხინეს.

●

აკაკის იუბილეს მოწაფეებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. იმ დროს სწავლება რუსულ ენაზე იყო. სკოლის ბიბლიოთეკაში ქართული წიგნები არ იყო. დავფაცურდით მოწაფეები: ვიშოვეთ აკაკის ნაწერები — ოჯახებში, ბაზარზე, ქალაქის ბიბლიოთეკაში — და დავიწყეთ ქართულად კითხვა. გვყავდა ერთი მოწაფე, ვერ იტყოდა—წერეთელი, რუსულად უძახდა — ცერეცელი. აი, ის მოწაფე ისე გაეჩვია დედაენას, რომ ჩქარა ქართულად თქვა: წერეთელი.

ასე ასწავლა ქართველ ბავშვებს ქართული სიტყვა აკაკიმ.

**როდიონ ძორძია.**

გამოფხიზლება

გავკაჟებივარ შავ-ბედსა,
დავდივარ შეუპოვარი!
ვერ შემაშინებს რისხვით ცა,
ქირზედა ქირის მთოვარი!

არ ვუღალატებ სინიდისს,
თავს შევინახავ წმინდადა
და ჩემ სიცოცხლეს ვიგულებ
ჩემის სამშობლოს წინდადა!

ოფლით მოვრეცხავ სამშობლოს,
იმ წმინდა სისხლით ღებულსა,
რომ შევეყარო პირნათლად
იქ ჩვენს წინაპრებს ქებულსა!

და აქ კი შესანდობარსა
ჩავარაკრაკებ კულითა
და შემოვძახებ თამამად
გრძნობით აღვსილის გულითა:

„ჩანგურო, ჩემო დიდებავ,
და ძლიერებავ, კალამო,
ზოგჯერ ფინთიხო გულისა,
ზოგჯერ წყლულისა მალამო!

„ნუ გამომილევთ ძალ-ღონეს
საბრალოს მუშას—მთესველსა,
მებრძოლსა გულგაუტეხელს,
ბნელში იმედით მკვესელსა!“

აკაკი



ეროვნული ბიბლიოთეკა



## მთას ირემი აყვირდება

შეათრთოლებს სიო კვირტებს,
გრგვინვა შესძრავს მთებს,
ქარი ღრუბლებს აიკიდებს,
გამოისხამს ფრთებს...

მერე სადღაც გაფრინდება,
გაფრინდება შორს...
მთას ირემი აყვირდება,
უხმობს გულის სწორს...

ია ცრემლებს, მოციმციმეს,
გააყოლებს ქარს,
ცხრათვალა მზე გაიცინებს,
გახსნის ზეცის კარს.

ჩანჩქერები შესძრავს ლოდებს,
ააქუხებს მთებს
და ბეღურა ატმის ტოტზე
შეიმშრალებს ფრთებს.

## თოვლის ფიფქის თავგადასავალი

მიიწურა შემოდგომა. დადგა ნაადრევი ზამთარი. მუშტისოდენა თოვლის ფიფქები თვითმფრინავიდან გადმომხტარი პარაშუტისტებივით ნელა ეშვებოდნენ ძირს. ერთი პატარა ფიფქი, რომელსაც ფიფქთა სამეფოში ნაბოლარას ეძახდნენ, გადმოხტა თუ არა ღრუბლიდან, შიშმა აიტანა, — მას არასოდეს არ ენახა ასეთი დიდი, გაშლილი ველები და მინდვრები, ციცაბო კლდეები და ცამდე აზიდული მთები. უკვირდა და ფიქრობდა: აქ სად მოვხვდიო?

ის იყო ზამთრის პატარა ვარსკვლავი დიდ მინდორზე უნდა დაშვებულიყო, რომ ქარმა წამოუბერა და ნაბოლარა ფიფქი დაბურულ ტყესთან მიაფარფატა.

— ტყეო, ტყეო, ნადირთ ბინაო, მე შენთვის სიკეთე მსურს, — მინდა საბნად გადაგეფარო.

ტყემ წარბი შეიკრა, ერთი მძლავრად შეიშმუშნა და ასძახა:

— შენ, ეი! მასხრად ხომ არ მიგდებ? ქვეყნად ერთი ციცქნა გაჩენილხარ და აბა, საბნად როგორ გამომადგები!

დაღონდა ფიფქი. მერე მინდორი მოაგონდა და ახლა იმას მიაშურა. — საბნად უნდა გადაგეფაროო, უთხრა. — აბა, საბნად როგორ გამომადგები, ერთი ციცქნა ხარო, — აქაც იგივე პასუხი მიიღო. სევდა მოაწვა ფიფქს, მაგრამ მერე ბავშვების ჟრიამული შემოესმა და იმათკენ გასწია. ბავშვებს ძალიან გაუხარდათ ფიფქის მოსვლა.

ერთმა თქვა, — ვიციგავებო, მეორემ, — ვიგუნდავებო. მესამემ, — თხილამურებით ვისრიალებო. მაგრამ ამ დროს მზემ გამოანათა და თოვლის ფიფქი ცრემლად იქცა. გულდაწყვეტილი ბავშვები ბებოს შემოეხვივნენ და თავიანთი წუხილი შესჩივლეს. ბებომ ბავშვებს გულიანად გაუცინა და უთხრა:

— მოიცათ, დადგება ნამდვილი ზამთარი და თქვენც გაიხარებთ, ჯერჯერობით კი ეს დაიმახსოვრეთ, — ერთი მერცხლის ჭიკჭიკი გაზაფხულს ვერ მოიყვანს.

**გია ჭუმბურიძე**, თბილისის 28-ე საშ. სკოლის IV კლასის მოსწავლე.

## ყვავილების თოვლი

წამოუქროლებს ჭაბუკური
სიცელქე ნიავს
და მოედება გაზაფხულის
წვა და სურნელი,
აქ—ჯერ გაუშლელ, ნაზ ყვავილებს
მოსტაცებს ქლიავს,
იქ—თავს დაუხრის ნელა კუნელი.

შეათამაშებს ყაყაჩოსფრად
ანთებულ ატამს,
ცეცხლისფერ ფიფქებს მიმოაბნევს
ირგვლივ ფრიალით,
მოსარკულ ზეცას
სიჭაბუკის ფერებით ხატავს,
მერე ნაზ კოკრებს ჩასჩურჩულებს
ჩუმი შრიალით.

ლაჟვარდ ტალღებად დარწეული
ნანაობს წყარო
და სვამს მზის სხივებს
ბროლისყელა, ოქროს ხელადით.
საგაზაფხულოდ მოკაზმული
ბუნება ხარობს
და მოაქვს ნიავს
ყვავილების თოვლი ფერადი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მონადირე



სვანი ჭაბუკი.

# ლეგენდა გმირობაზე

საქართველოში, თამარის მეფობის დროს, ძველი გავაზის ბოლოზე დიდი ტბა იყო. ამ ტბასთან ბინა დაედო ვეშაპს, რომელიც დიდ ზიანს აყენებდა ადამიანებსა და საქონელს.

იმ დროს შორს იყო ხმა გასული ძმების —ხოშატისა და ეგრეზის გმირობაზე.

ერთხელ, როცა თამარ დედოფალი ვეჯინის ამაღლებაზე იყო სადღესასწაულოდ, ხალხს თავისი გასაჭირი შეეჩივლა. თამარ დედოფალმა ეგრეზი დაიბარა და ვეშაპის მოკვლა უბრძანა. ეგრეზმა უპასუხა, —მე არ შემიძლია ვეშაპის მოკვლა, მაგრამ ჩემი ძმა ხოშატი ფიქრობს მის მოკვლასო:

მის მეტი ტიალს ვინ მოკლავს,
თავის ხმლითა და ცულითა,
ის მე მჯობია ბრძოლაში,
მაგარიც არის გულითა.

თამარ დედოფალმა ახლა ხოშატი დაიბარა და მას უბრძანა ვეშაპის მოკვლა.

ხოშატმა ჰკადრა: — ვეშაპს მოვკლავდი, თუ ტბის პირას ამიშენებენ ქვიტკირის სანგარს და იქვე თორმეტ უღელ კამეჩს დააბამენ.

თამარ მეფის ბრძანებით სწრაფად აშენდა სანგარი. ხოშატმა ორი დოლაბი მოამზადა. ერთი დოლაბი შესასვლელ კარებს გაუკეთა, მეორე, —გამოსასვლელს. დოლაბის ხვრელში კი, შიგნიდან, ჩანგლები დაატანა.

ამასობაში ვეშაპიც გამოჩნდა, გზა-გზა ყველაფერი შთანთქა, მერე კამეჩებსაც მიეტანა; ბოლოს, როცა კარგად გაძღა და განძრევა გაუჭირდა, ხოშატმა სანგრიდან თავი გამოჰყო. ვეშაპმა ხოშატი რომ დაინახა, მისი შეჭმაც მოინდომა და დოლაბის ხვრელში შეძვრა, მაგრამ დოლაბში გაკეთებულ ჩანგლებს გამოედო და ვეღარ გაინძრა. ვეშაპი ცოფს ჰყრიდა, იკლაკნებოდა. ხოშატმა დრო იხელთა, თავი მოჰკვეთა და ნაკუწებად აქცია. ვეშაპის შხამიანი სისხლი ხოშატს ზედ ესხმებოდა და თანდათან ძალა ელეოდა. იფიქრა: იქნება სახლამდე ცოცხალმა მივაღწიოო და გაიქცა, მაგრამ გზაშივე წაიქცა...

მადლიერმა ხალხმა ხოშატი იქ დაასაფლავა, სადაც წაიქცა. იქვე ეკლესია ააგო და ხოშატიანი უწოდა.

ეს სახელი დღესაც შემორჩენილია ხალხში.

თინათინ ჯოხაძე,
გურჯაანის რაიონის სოფ. ჭანდრის
8-წლიანი სკოლის VII კლ. მოსწავლე.

ლექსები და ნახატები ვიტალი იმედაძისა,
გეგეჭკორის რაიონის სოფ. ლეხაინდრაოს
საშ. სკოლის IX კლასის მოსწავლე.



# ნეტავი რა აწუხებდა

მზია შეწირული,
მახარაძის 1-ლი საშ. სკოლის
V კლასის მოსწავლე.

წვიმდა. წუხელ ფანჯარასთან
ქარი მწარედ წიოდა.
ნეტავი რა აწუხებდა?
ნეტავი რა სტკიოდა?
იქნებ თბილად არ ეცვა და,
იმ საბრალოს სციოდა.
ან იქნება ვერ ივახშმა
და ამიტომ წიოდა.
ცრემლებისგან მთელ ეზოში
დააყენა წყალი და...
კარი არვინ არ გაუღო—
დილით სადღაც წავიდა.

# ფისო

ჩვენს ხატულა ფისოს
ძლიერ უყვარს ყელი;
შევურჩიოთ ჰყინტი,
არ ატკინოს ყელი.





# გაზაფხული

მოფრინდა მერცხალი,
ამწვანდა ბალახი,
ზამთარმა წაიღო
თოვლი და ტალახი.



## რესტორანში

გეოგრაფიის პროფესორს დრო არ ჰქონდა, რომ სადილად შინ წასულიყო, ამიტომ რესტორანში შევიდა. აქ მას გაახსენდა, რომ სათვალე სამუშაო კაბინეტში დარჩა და მეზობლად მჯდომს სთხოვა, — წამიკითხე მისთვის მენიუ.

— მაპატიეთ, მაგრამ მეც თქვენს დღეში ვარ, კითხვა არ ვიცი,—უპასუხა მეზობელმა.

## ტოტო და მისი და მარი

ტოტო და მისი და მარი კაფეში ხაუზმობდნენ. მარის მაგიდის ქვეშ ჩაუვარდა ნამცხვარი.

— ვაიმე, ჩემი ნამცხვარი! ძაღლი შეჭამს.

— ნუ გეშინია, მე მას მაგრად დავადგი ფეხი, — უთხრა ტოტომ.

## საბრალო მარიუ

ოლივი შეხვდა მარიუს, რომელიც აფთიაქიდან მოდიოდა.

— ჩემო საბრალო მარიუ, ავადა ხარ? — ჰკითხა ოლივმა.

— არა, არა, მე ძალიან კარგადა ვარ.

— როგორ, აფთიაქიდან მოდიხარ და ავად არა ხარ?

— მერე რა, სასაფლაოდან მომავალი რომ მნახო, უსათუოდ მკვდარი უნდა ვიყო?

## არითმეტიკის გაკვეთილზე

არითმეტიკის გაკვეთილზე მასწავლებელმა ბავშვებს მისცა ამოცანა: ხუთ ბავშვს აქვს ოთხი ვაშლი; როგორ გაიყონ თანაბრად?

უცებ გაისმა ტოტოს ხმა:

— მე უკვე მოვიფიქრე!

— ყოჩაღ, აბა მიპასუხე.

— მათ უნდა გააკეთონ კომპოტი.

## ტოტო კმაყოფილია

ტოტო სკოლიდან ძლიერ კმაყოფილი დაბრუნდა შინ.

— რა მოხდა? — ჰკითხა დედამ.

— მასწავლებელმა მოინდომა ჩემი დასჯა, მაგრამ საკლასო ოთახის ოთხივე კუთხე დაკავებული იყო.

თარგმნა მანანა გორდეზიანმა,
თბილისის 28-ე საშ. სკოლის
VIII კლასის მოსწავლე.



პასუხი მე-10 ნომერში მოთავსებულ კითხვებზე

1. ნახშირბადი.
2. ჟანგბადის არეში.
3. $KMnO_4$-ს უნდა დავამატოთ 3-4 წვეთი გლიცერინი, ნარევი აალდება.
4. სხვადასხვა მეტალების Ca, Na, Cu დამატებით.
5. კირი.
6. Na, K.
7. $KMnO_4$-ს დავასხათ 2-3 წვეთი გოგირდმჟავა, ნარევში ჩავდოთ წკირი, შემდეგ წკირი მივიტანოთ სპირტნათურის პატრუქთან. პატრუქი აინთება.
8. ჩავაგდოთ კვერცხი კონცენტრირებულ მარილმჟავაში ან ძმარმჟავაში.
9. თხევადი წყალბადი.
10. ტყვია.

# ჩქარა ჩამოდი

(ჩემს დეიდაშვილს)

ბაღში ჩაველ, ხეებს თავი დაუხრიათ,
ჩვენი ბაღი შენ გნატრობს და გელის, მერაბ,
შენს ოთახში ავედი და კედლებიდან
მომეშუქა დაღვრემილი შენი მზერა.

შენს ლოდინში გადაყვითლდნენ ბალახები,
მოწყენილმა ხის ფოთლებმა იწყეს ცვენა;
გელოდები, როდის მოხვალ, ჩემო მერაბ,
მომენატრა შენი სახლში შემორბენა.

განა მარტო მე ვარ ასე?
ყველაფერი გელოდება,
ეს წიგნები, ეს მაგიდა, —
— ჩქარა მოდი, ჩემო მერაბ!

ქეთევან სიხარულიძე,
თბილისის 1-ლი საშუალო
სკოლის VIII კლ. მოსწავლე.



●

ესმის ტყეს, ესმის მთა-ველს
და ზვრებს ფეხისხმა შორი...
ეს—გაზაფხული მოდის
მაღალ, მოხუც მთებს შორის.

მოჰყვება გუნდი მერცხლის,
თან მოაქვს მზე და სითბო,
მოაქვს სიცოცხლის ეშხი
და განახლების სიტკბო.

# ვალენტინა ტერეშკოვას

შენ ხარ პირველი ციური ქალი.
როცა გაჰკვეთე ღრუბელი, ქარი,
ცის მნათობთ როცა აუბი მხარი,
რა უჩურჩულე, ნეტავი, მთვარეს,
ჩვენს ოცნებაზე მზეს რა უთხარი?

ცხოვრება შენი გასაოცარი—
ვითა ლეგენდა, ვითა ზღაპარი!
ცაში აიჭერ ქალი ფრთოსანი
და გააზღაპრე ჩვენი მთა-ბარი.



ეროვნული ბიბლიოთეკა




„ბიძია რიმუსის ზღაპრები“ — ასე ეწოდება ამერიკელი მწერლის ჯოელ ჩენდლერ ჰარისის ზღაპრების წიგნს. რას არ შეხვდებით ამ წიგნში — გულად ასთაკვას, ცანცარა კურდღლის ბაჭიებს, ბეღურებს და, რაც მთავარია, შეიტყობთ იმას, თუ როგორ დაკარგა კურდღელმა კუდი... ყველაზე მეტად გაგაოცებთ პატარა კუს ოინები...

●

არქეოლოგმა მოჰამედ ზაქარია ღონეიმმა 1951 წელს ეგვიპტის დედაქალაქ კაიროს მახლობლად, საკარაში აღმოაჩინა მანამდე უცნობი პირამიდა.ამ აღმოჩენამ აალაპარაკა მსოფლიოს პრესა, ხოლო ზაქარია ღონეიმმა დაწერა წიგნი „დაკარგული პირამიდა“, რომელიც ახლახან ქართულ ენაზე გამოვიდა. მასში მხატვრული ენით მოთხრობილია მესამე დინასტიის ფარაონთა მეფობის მეტად საინტერესო ისტორია.

●

ნოდარ დუმბაძეს კარგად იცნობს ჩვენი ნორჩი მკითხველი. მისი ახალი წიგნი „გკოცნის შენი მანანა“ განკუთვნილია უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვთათვის. წიგნში შესულია ოცდაორი ახალი ლექსი და პოემა „მანანას წერილი“.

●

ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში ხშირად იბეჭდება ემელიან ქურდიანის, ნოდარ შამანაძის, გიორგი წერეთლისა და ტარიელ ხავთასის საბავშვო ლექსები. გამომცემლობა „ნაკადულმა“ ცალკე კრებულად გამოსცა ამ პოეტების ნაწარმოებები. წიგნის სათაურია „დედა გაუხარჯება“.

●

„ლიახვმა თქვა“ — ახალგაზრდა პოეტის ჯემალ ინჯიას პირველი წიგნია. სამშობლოს ღრმა სიყვარული, წარსულის მოგონება და მომავალზე ფიქრი — აი, ძირითადი მოტივები, რომელიც წითელ ზოლად გასდევს პოეტის შემოქმედებას.









NEL PROSSIMO NUMERO: I VINCITORI DEL CONCORSO



il PIONIERE dell'Unità

Supplemento del giovedì

ეროვნული ბიბლიოთეკა

„იტალიურ გაზეთ „უნიტას“ ყოველკვირეული დამატება „ილ პიონიერე“ „ხუთშაბათის მეგობარი“.

იტალიურიდან თარგმნა ზაირა სტურუამ.

თქვენ ალბათ გაინტერესებთ, როგორ გახდა რივერა დიდი ფეხბურთელი. ჰოდა, მაშ მომისმინეთ.

ალექსანდრიისათვის დამახასიათებელ ერთ მოღრუბლულ დღეს, როცა ქუჩებში გამდნარი თოვლისაგან საშინელი ჭყაპი იდგა და ზედ წვიმაც ერთვოდა, ტერეზიომ მიმართა თავის უფროს შვილს — ჯანის:

— კალოშები ჩაიცვი, უნდა წავიდეთ. ჰო, მართლა, ფეხბურთის თამაშისათვის საჭირო რამეების წამოღებაც არ დაგავიწყდეს, ცოტა დაუჩქარე, ბევრი ცდა არ შემიძლია.

ჯანი ერთ წუთში მზად იყო. მამა-შვილი სახლიდან გავიდა, ტრამვაიში ჩასხდნენ და, იცით სად წავიდნენ? ალექსანდრიის ფეხბურთის მოედნისაკენ,—„ნაცრისფერმაისურიანების“ დირექცია იქ იყო მოთავსებული. როცა მამამ ჯანი ფეხბურთის მესვეურებთან მიიყვანა, უთხრა: „უნდა ჩაგწერო“. ჯანიმ არაფერი არ იცოდა, სად ან რისთვის უნდა ჩაწერილიყო, მაგრამ მისთვის მამის ნება-სურვილი კანონი იყო და უსიტყვოდ დათანხმდა.

იმ დროს „ნაცრისფერმაისურიანების“ გუნდში პატარა ბიჭებს იღებდნენ, ისეთებს, რომლებიც ფეხბურთს კარგად თამაშობდნენ და მეტსახელად „წიწილებს“ ეძახდნენ.

ჯანი რივერა 12 წლისა იყო მაშინ.

— სკოლაში პირველია, — უთხრა მამამ ფეხბურთის მესვეურთ, — მინდა სპორტშიც გამოვცადო.

ხშირია შემთხვევა, როცა მშობლები ბავშვს უკრძალავენ ფეხბურთის თამაშს და ამას ათასნაირი მოსაზრებით ხსნიან.

მაგრამ სულ სხვა აზრისა იყო ტერეზიო რივერა, — ჯანის მამა, ფეხბურთის დიდი გულშემატკივარი და მოყვარული. ტერეზიო რივერა ბავშვობაში კარგად თამაშობდა ფეხბურთს, მაგრამ კარიერა ვერ გაიკეთა. ნანობდა და ხშირად ამბობდა ხოლმე: „რკინიგზაზე პენსია მეტად უმნიშვნელოა, თითქმის სასაცილოც. კარგია, რომ ადამიანი ახალგაზრდობაშივე იზრუნებს მომავალზე. შევცდი, რომ ფეხბურთის თამაშს თავი დავანებე. ზოგი ჩემი ამხანაგი პროფესიონალი ფეხბურთელი გახდა, ზოგს საკუთარი კაფე აქვს, ზოგს — საკუთარი მაღაზია მე კი რკინიგზის უბრალო მოხელე ვარ. არა, ჩემმა შვილებმა ასეთი შეცდომა არ უნდა დაუშვან“.

არ შემცდარა ტერეზიო რივერა. მისმა „წიწილამ“ შესანიშნავად გაუძლო გამოცდას. გუნდის მწვრთნელი

## იტალიური ანდაზები

ღმერთო, დამიფარე ავი მეზობლისაგან და დამწყები მევიოლინესაგან.

სჯობს ხვლიკის თავი იყო, ვინემ ლომის კუდი.

შენი სახლის კვამლი გერჩიოს სხვის ცეცხლსაო.

სინდისი ათას მოწმედ ღირს.

ცრუპენტელას კარგი მეხსიერება აქვსო.

ვინც დროზე გიშველა, ორჯერ გიშველა.

სჯობს შენი შურდეთ, ვიდრე ებრალებოდეთ.

სიამაყე ცხენით წავიდა და ფეხით დაბრუნდაო.

ყველაზე დიდი ყრუ ისაა, ვისაც არ სურს გაგონება.

ვინც ჯანმრთელია, სულთანზე მდიდარია.

ჯუზეპე კორნარა ალტაცებაში მოვიდა და ამ „ფენომენ“ ბავშვს დიდი მომავალი უწინასწარმეტყველა.

ასე მიატოვა ჯანი რივერამ დონ ბოსკოს გუნდი, ჩაიცვა ნაცრისფერი მაისური და თამაში დაიწყო „წიწილებს“ შორის.

ყოველთვის, ცუდ ამინდშიც კი, როცა წვიმდა ან ქუჩებში თოვლ-ჭყაპი იყო, ტერეზიო გარეთ აგდებდა ჯანის ფეხბურთის სათამაშოდ.

— წადი, ივარჯიშე, ტალახში, წვიმაში! ყველაფერს უნდა შეეჩვიო, ფეხის კუნთები გაგიმაგრდება.

ასეთი იყო მამის დარიგება და მამის გამგონე ჯანიც ყველაფერს ასრულებდა. ერთ წელიწადში ბიჭუნას სირბილსა და სიგრძეზე ხტომაში ვერავინ სჯობნიდა. კიდევ ერთი წელი და, 1958 წლის 12 აპრილი დიდმნიშვნელოვანი თარიღი გახდა ჯანის ცხოვრებაში; მიმდინარეობდა ჩემპიონატი სხვადასხვა ქვეყნის ნაკრებ გუნდებს შორის. ალექსანდრიაში სათამაშოდ ჩამოვიდა შვეცი...

# რივერა

ერთი ბიჭუნა პურის მაღაზიაში შევიდა და ორმოცდაათი ლირის პური მოითხოვა. გამყიდველმა ბავშვი წონაში მოატყუა. ბიჭუნა მიუხვდა.

— შენთვის უფრო კარგი არაა, ადვილად წაიღებ, — უთხრა მეპურემ.

— ეგ მართალია, — დაემოწმა ბიჭი და დახლზე ორმოცი ლირი დაუდო.

— დაიცა, — შეაჩერა მეპურემ. — შენ იმდენი არ მოგიცია, რამდენიც მეკუთვნოდა.

— თქვენთვის უფრო კარგი არ არის, ბიძია, ცოტა ფულის დათვლა დაგჭირდებათ.

* * *

მასწავლებელმა პიერინოს ჰკითხა:

— იცი, რატომ უსწრებს ევროპის საათი ამერიკისას?

— დიახ, მასწავლებელო, იმიტომ რომ, ამერიკა უფრო გვიან აღმოაჩინეს...

* * *

წიგნის მაღაზიაში მომხმარებელმა ჰკითხა გამყიდველს:

— ამ ბოლო დროს, ყველაზე მეტად რომელი წიგნი იყიდება?

— დიკენსის „ოლივერ ტვისტი".

— რატომ?

— ყველას „ტვისტის" შესასწავლი სახელმძღვანელო ჰგონია.

* * *

მამამ ბავშვს მაღვიძარა აჩუქა. თორმეტ საათზე, როცა საათმა დარეკა, ბავშვმა ტირილი მორთო.

— რა მოხდა, რა გატირებს? — ჰკითხა მამამ.

— მამიკო, ჩემი საათი უკვე გაფუჭდა, ერთი ისარი დაეკარგა!

* * *

პიერინოს ისტორიაში ცდიდნენ. მასწავლებელმა კითხვა მისცა და შემდეგ დასძინა:

— დაუკვირდი, პიერინო, ეს კითხვა არც ისე ძნელია...

— ეგ მეც ვიცი, მასწავლებელო, კითხვის დასმა ადვილია, პასუხის გაცემაა ძნელი.

* * *

ერთმა გლეხმა მეორეს შესჩივლა: ჩემს ცხენს კბილი სტკივა და ვერ გამისინჯიაო.

— რატომ, კაცო?

— ნაჩუქარ ცხენს კბილი არ გაესინჯება.

## გამოცანები



სურათზე ხედავთ ხუთ მოცეკვავე ბიჭუნას. წრეში გამოსახულია ერთ-ერთი მათგანის ლანდი. დაუკვირდით და გამოიცანით, რომელი ბიჭუნას ლანდია წრეში.

●

მხატვარი არ არის, მაგრამ პორტრეტებს ხატავს, ხან კარგს, ხან ცუდს, რა არის?

●

ერთ ოთახში არიან: ბაბუა, ბებია, ორი მამა, ორი დედა, ორი შვილი, ერთი სიმამრი, ერთი სიდედრი, ერთი შვილიშვილი და ერთი სიძე. გამოიცანით რამდენი სულია ამ ოთახში?

ნაკრები ამხანაგური შეხვედრის ჩასატარებლად. მწვრთნელმა კორნარამ თამაშის დაწყების წინ ჯანის უთხრა:

— ჯანი, დღეს შენც ითამაშებ. აბა შენ იცი, თუ გვასახელებ და ბურთს გაიტან. საჩუქრად ერთ კარგ ბურთს ვკისრულობ.

რივერამ იმ დღეს მართლაც გაიტანა ბურთი და იმ ბურთს ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს რივერას შესანიშნავ კარიერაში.

1958 წ. 14 აპრილს ჯანი 14 წლისა ხდება. მას ბედი უღიმის, — ამ ასაკში ასეთი წარმატება მხოლოდ ბედით განებივრებულთა ხვედრია. ბიჭუნამ შესანიშნავი ფეხბურთელის სახელი დაიმკვიდრა. მისმა წარმატებამ ზენიტს მიაღწია.



წარმატებას წარმატება მოჰყვა: ლურჯი მაისური, თამაში მსოფლიო ჩემპიონატში, მონაწილეობა „ა" კლასის გუნდში.

ძალიან ადრე დავაჟკაცდა და დასერიოზულდა ჯანი რივერა. თავის ასაკთან შედარებით უფრო ხანდაზმულად გამოიყურება. 1962 წელს, სანამ ჩილში გაემგზავრებოდა, რივერას ერთმა მილანელმა ახლობელმა (რივერას მშობლები და უმცროსი ძმა მაურიო, — ამჟამად მილანში ცხოვრობენ) საყვედურით უთხრა ჯანის მამას:

— ჯანის რომ ბავშვობა არ უნახავს, ამაში შენა ხარ დამნაშავე.

ამაგდარმა მამამ იწყინა ახლობლის ეს სიტყვა და მიუგო:

— მართალია, დამნაშავე ვარ. მე რომ ჯანი სხვა ბავშვებივით თავის ნებაზე გამეშვა, მხოლოდ ესწავლა და სპორტისთვის ყურადღება არ მიექცია, ახლა მხოლოდ კარგი ბუღალტერი იქნებოდა და არა — იტალიის ეროვნული ნაკრების მოთამაშე. იგი ვერც მსოფლიო ჩემპიონატების მონაწილე გახდებოდა და მეც ამცდებოდა ამდენი დავიდარაბა. ჩემი შვილის ფინანსურ საქმეებს ხომ მე განვაგებ.

მართლაც, ჯანი რივერას ბედმა გაუღიმა და უკვე 20 წლის ასაკში მსოფლიოში სახელგანთქმული და ერთ-ერთი უმდიდრესი ფეხბურთელთაგანი გახდა.

მაგრამ შინ რივერა მაინც პატარა ბიჭად დარჩა; მამამისისათვის იგი ისევ პატარა, გამგონე ჯანია; „მამა, შეიძლება ფორთოხლის ნაყენი დავლიო?" — კითხავს ხოლმე ის მამას და მხოლოდ ნებართვის შემდეგ გაეშურება სამზარეულოში მაცივრიდან გამაგრილებელი წყლის გამოსაღებად.



### ვინ ცხოვრობს ცისფერ მაჩიტაში?

ღამითა და ავდრის დროს მაჩიტას ყვავილებს თავშესაფრად იყენებენ წვრილი ხოჭოები, ბუზები და სხვა მწერები, რომელთაც არა აქვთ მუდმივი საცხოვრებელი. ყვავილის ღრუში გაცილებით უფრო თბილა, ვიდრე გარეთ. მზის ამოსვლისთანავე, მობინადრენი „სახლიდან“ გამოდიან, რომ საღამოს კვლავ აქვე დაბრუნდნენ ღამის გასათევად.

### ლომი ხეზე ადის

ზოოლოგები ამტკიცებენ, რომ ლომს არ შეუძლია და არც უყვარს ხეზე აცოცება. მაგრამ ყველაფერში არსებობს გამონაკლისი. უგანდისა და ტანგანიკის ვრცელ ველებში ბინადრობენ ლომები, რომლებიც ხეზე ადიან. მთელი საათობით თვლემენ ისინი ტოტებზე გაწოლილნი და თან ფხიზლად უთვალთვალებენ მსხვერპლს. და, ვაი იმ ზებრასა თუ ანტილოპას, რომელიც ამ დროს გამოჩნდება ნადირთა მეფის ახლომახლო.

### ყინულის ქანდაკება

იაპონიის სამხრეთი კუნძულების — კიუსიუსა და სიკოკუს სუბტროპიკული ჰავისაგან განსხვავებით, ჩრდილოეთ კუნძულ ჰოკაიდოზე სიცივეა. აქ გრძელი, სუსხიანი და თოვლიანი ზამთარი იცის. შარშან,ქალაქ საპოროს მცხოვრებლებმა ყინულისაგან გამოსჭრეს ღმერთ ბუდას უზარმაზარი ქანდაკება, იაპონიის პარლამენტისა და ოსაკას ციხესიმაგრის ასლები. ბუდას ქანდაკება ქალაქის პარკში დადგეს. მისი სიმაღლე 10,5 მეტრია.

### ცხოველები და „დროის გრძნობა“

ბევრი ადამიანი საათზე დაუხედავადაც საკმაოდ ზუსტად გიპასუხებთ კითხვაზე: „საათის რომელია?“ მაგრამ დროის გრძნობა მარტო ადამიანს როდი ჰქონია...

საინტერესო ამბავს მოგვითხრობს ინგლისელი ზოოლოგი ვილიამ ბიჩი. კალიფორნიაში მოგზაურობის დროს ბიჩს დაუთვალიერებია ერთ-ერთი დიდი ფერმა, რომლის მეპატრონეც მორწყვის სამუშაოებისათვის მხოლოდ სახედრებს იყენებდა. ყველა ასი სახედარი ზუსტად შუადღისას სწყვეტდა მუშაობას. 12 საათისა და 01 წუთის შემდეგ ვერავითარი ძალა ვერ აიძულებდა მათ, განეგრძოთ მუშაობა. 18 საათზე კი, ერთ წუთსაც რომ არ გადააცილებდნენ ისე, კვლავ თავიანთ საქმეს უბრუნდებოდნენ.

აი რას გვიამბობს მეცნიერი გუსტავ ეკშტეინი კატებზე თავისი დაკვირვებების შესახებ: კატა, სახელად ვილი, ღამის სეირნობიდან ზუსტად დილის 8 საათსა და 10 წუთზე ბრუნდებოდა შინ. ვილი ყოველ ორშაბათს, ზუსტად 12 საათსა და 45 წუთზე გამოჩნდებოდა ხოლმე მეზობლად მდებარე საავადმყოფოში, რათა ეცქირა როგორ თამაშობდნენ საავადმყოფოს თანამშრომლები ბინგოს. მას ერთხელაც არ შეშლია დღე და საათი.

### საჩუქარი

სიცილიელმა ბიჭუნამ ანდრე ანარომ, რომლის მშობლები მილანში გადაიხვეწნენ ლუკმა-პურის საშოვნელად, საახალწლოდ საოცნებო სათამაშო მიიღო საჩუქრად: „თოვლის პაპამ“ ელექტრომატარებელი გაუგზავნა მას.

ეს ამბავი ასე მოხდა: ანდრემ საჰაერო ბუშტს წერილი გამოაბა, ზედ თავისი მისამართი დააწერა და გაუშვა. ბუშტი ჰაერში აიჭრა, გადაევლო მთებს, ველებს, მდინარეებს; ბოლოს უნგრეთის ქალაქ სეკეშფეხერვარში დაეშვა. წერილი ერთმა ბიჭუნამ იპოვა და სკოლაში წაიღო. როცა მასწავლებელმა წერილი გადათარგმნა, მოსწავლეებმა ერთხმად გადაწყვიტეს, — ანდრესთვის საჩუქარი გაეგზავნათ.



მაკრატლის სისტემატური ხმარებისას, თითებზე კოჟრები ჩნდება ხოლმე. თუ გინდა თითები არ დაგიზიანდეს, მაკრატელს თითის გასაყარ რგოლებზე საიზოლიაციო ლენტი ან ბანდი შემოახვიე.



თუ გინდა მინის ჭურჭელს ტუჩი გაუკეთო, მიიტანე ჭურჭელი სანთლის ალთან, გაავარვარე და შემდეგ ნებისმიერ ფორმას მისცემ.



ვინ იცის, რამდენ უსიამოვნებას აყენებს დიასახლისს ნემსი... ერთ წამში იცის თვალსა და ხელს შუა გაქრობა. ნემსის შენახვა კი სულ იოლი საქმეა. არ გჯერა? დახედე ამ სურათს და თვითონვე დარწმუნდები.



გასანთლული ქაღალდი ან ლეიკოპლასტირი შესანიშნავი საშუალებაა იმ ჭურჭლის თავდასაცობად, რომელშიც აორთქლადი სითხეა.



ხელმარჯვე ოსტატს შინ მუდამ უნდა ჰქონდეს სხვადასხვაგვარი ქანჩების შესანახი ასეთი უბრალო მოწყობილობა.



# გიგო გაბაშვილი



ავტოპორტრეტი (ფრაგმენტი)

გამოჩენილი ქართველი მხატვარი გიგო გაბაშვილი დაიბადა 1862 წლის 22 ნოემბერს, თბილისში. საშუალო განათლება აქვე, რეალურ სასწავლებელში მიიღო. 18 წლისამ დაამთავრა სასწავლებელი, რის შემდეგაც სამი წელი მხაზველად მუშაობდა.

1884-85 წლებში იგი წერს ტილოებს: „მცხეთის სვეტიცხოველი", „მცხეთის მიდამო", „თულუხჩი", „ძველი თბილისის უბანი", „ქარვასლა", „ბაქო" და სხვ. ამ ნაწარმოებებში გარკვევით ვლინდება ჭაბუკი მხატვრის დიდი შემოქმედებითი ტალანტი. 1886 წელს გიგო გაბაშვილი ჩარიცხული იქნა პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის თავისუფალ მსმენელად. აკადემიაში სწავლის დროს, სურათებისათვის — „ცხენოსანი ქურთი" და „დატვირთული აქლემები" გ. გაბაშვილი ვერცხლის პატარა მედლებით დაჯილდოვეს, ხოლო „ცხენის ეტიუდისათვის" ვერცხლის დიდი მედალი მიიღო. 1888 წელს აკადემიურ შვებულებას იღებს და სამუდამოდ ბრუნდება სამშობლოში.

1891 წელს გ. გაბაშვილი აწყობს თავისი ნამუშევრების პირველ გამოფენას. გამოფენა წარმოადგენდა არა მარტო ქართველი მხატვრის მიერ საკუთარი გამოფენის გამართვის პირველ შემთხვევას, არამედ — ქართული მხატვრობის პირველ გამოფენასაც.

1893 წელს გ. გაბაშვილი ქმნის „სამ მოქალაქეს". ეს ღრმად იდეური და უაღრესად რეალისტური ტილო შესრულებულია ბრწყინვალე ფერწერული ოსტატობით. მასში სრული სიცხადით აისახა ქართულ მხატვრობაში რეალიზმის საბოლოოდ დამკვიდრება და მისი ორგანული კავშირი ეპოქის მოწინავე იდეებთან.

1894 წლის გაზაფხულზე მხატვარი რამდენიმე თვით მოგზაურობს შუა აზიაში, ხოლო იმავე წლის ნოემბერში შედის მიუნხენის სამხატვრო აკადემიაში.

შუა აზიის თემაზე შესრულებულ ნაწარმოებებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევენ „სამარყანდელი ბიჭი", „სამარყანდელი", „რეგისტანის მოედანი", „ბუხარელები", „ბაზარი სამარყანდაში", „დივანბეგის აუზი ბუხარაში". ამ ნამუშევრებში შესანიშნავადაა გადმოცემული შუა აზიის ყოფა, ტიპები და პეიზაჟი.

1897 წელს გ. გაბაშვილი წარმატებით ამთავრებს მიუნქენის სამხატვრო აკადემიას და მიემგზავრება იტალიასა და საბერძნეთში. იმავე წლის შემოდგომაზე სამშობლოში ბრუნდება და იწყებს მოგზაურობას საქართველოს სხვადასხვა მხარეში. პირველად ეწვია ხევსურეთს და ზედმიწევნით შეისწავლა ხევსურთა ცხოვრების ყოველი წვრილმანი. ამ მოგზაურობის შედეგად შეიქმნა გ. გაბაშვილის უძლიერეს ქმნილებათა ციკლი. მათგან პირველი დიდი ნაწარმოებია „მძინარე ხევსური", რომელსაც, დიდ ოსტატობასთან ერთად, ახასიათებს ხევსურთა ყოფის ღრმა შეგრძნებაც. უაღრესი სიმკვეთრითაა გადმოცემული განწყობა: სურათის წინ მთელი სისრულით გრძნობ მოქანცული მოხუცის უნებლიე ჩათვლემას.

განწყობის მხრივ განსაკუთრებული სიძლიერისაა „მთვრალი ხევსური". ამ სურათში ვირტუოზული ხელოვნებითაა ასახული ტიპიური ხევსურის სიმთვრალე. შედარებით პატარა სურათი „ხევსურები სადარაჯოზე" — ძალზე საინტერესოა როგორც ფერწერის ოსტატობის, ისე პატრიოტული შინაარსის თვალსაზრისით.

1899 წელს გ. გაბაშვილი კახეთშია. ამ მოგზაურობას უკავშირდება მხატვრის შესანიშნავი ტილო, მრავალფიგუროვანი კომპოზიცია „ალავერდობა". „ალავერდობის" დამახასიათებელია კოლორიტის თავისებურება, ხალხურობა და ეროვნული ხასიათი.

გ. გაბაშვილის ერთ-ერთ უშესანიშნავეს აკვარელს წარმოადგენს „ტივებზე" (1902 წ.), ხოლო „განთიადზე სასაფლაოს ეკლესიასთან" (1904 წ.) მის უძლიერეს ნაწარმოებთა რიცხვს ეკუთვნის.

1907-1908 წლებში გ. გაბაშვილი წერს ილია ჭავჭავაძის პორტრეტს.

მომდევნო პერიოდში გ. გაბაშვილი ქმნის ესკიზს „სამი გენერალი", ჟანრულ სურათს „ჭიდაობა", წერს აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის პორტრეტებს, ავტოპორტრეტს და სხვ.

1929 წელს გ. გაბაშვილს საქართველოს სახალხო მხატვრის წოდება მიენიჭა. ამ პერიოდში მხატვარი შოთა რუსთაველის პორტრეტზე მუშაობს, ამთავრებს სურათებს: „შატილის დაცვა", „ხევსურთა თავგადასავალი", „ღღეობა ხევსურეთში", იწყებს მუშაობას სურათზე: „მოსავლის დღესასწაული".

1936 წლის 28 ოქტომბერს სამუდამოდ შეწყდა ჩვენი სასიქადულო მხატვრის გულისცემა.

თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობის მანძილზე გიგო გაბაშვილმა ორი ათასზე მეტი ნაწარმოები შექმნა. თავისი ძირითადი ტილოებით გ. გაბაშვილი გვევლინება, როგორც კოლორიტის ბრწყინვალე ოსტატი, ფერების დაუცხრომელი არტისტი, უაღრესად ნაირმეტყველი, ემოციური, ღრმა შეგრძნების შემოქმედი.

გიგო გაბაშვილის შემოქმედება დიდი ისტორიულ-მხატვრული მნიშვნელობის, ღრმად ხალხურ, კლასიკურ მემკვიდრეობას წარმოადგენს.



## იცნობ თუ არა შენ მშობლიურ მხარეს?

დააკვირდი ამ სურათს და გაეცი პასუხი აქ დასმულ კითხვებს:

1. რომელი ისტორიული ძეგლია ფოტოსურათზე გამოსახული?
2. სად მდებარეობს იგი და როდის არის აგებული?
3. რა იცი მის შესახებ?

## პასუხი № 9-ში დასმულ კითხვებზე

1. ფოტოსურათზე აღბეჭდილი იყო კ. მარქსის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის შენობა. იგი ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი უდიდესი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებაა, — მდებარეობს ქ. თბილისში, კეცხოველის ქუჩაზე, № 5-ში.

2. შენობა აგებულია ილია ჭავჭავაძის ინიციატივით და თავდაპირველად განკუთვნილი იყო სათავადაზნაურო ბანკისათვის. მისი მშენებლობა დაიწყო 1902 წელს და დამთავრდა 1918 წელს.

3. ამ მონუმენტური შენობის პროექტის ავტორია სახელგანთქმული არქიტექტორი ანატოლ ნიკოლოზის ძე კალგინი (გარდაიცვალა 1948 წელს, მისივე სურვილით დაკრძალულია მცხეთის სამთავისის მონასტრის ეზოში).

ა. კალგინმა შენობის ანსამბლში მოხდენილად ჩააქსოვა ქართული ეროვნული ხუროთმოძღვრების ორიგინალობა და სიდიადე. ამიტომაც იყო, რომ კონკურსზე წარმოდგენილი 6 პროექტიდან კალგინის ნამუშევარს ხვდა გამარჯვება.

4. როგორც უკვე ითქვა, თავდაპირველად ეს შენობა განკუთვნილი ყოფილა თბილისის სათავადაზნაურო ბანკისათვის. მაგრამ განზრახვის განხორციელებას ხელი შეუშალა ჯერ ამ დაწესებულების სულისჩამდგმელისა და თავმჯდომარის ილია ჭავჭავაძის ვერაგულმა სიკვდილმა, ხოლო შემდეგ—მსოფლიო ომმა, რომელმაც ყველაფერი საომარ ვითარებას დაუქვემდებარა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ეს შენობა სხვადასხვა დროს სხვადასხვა დაწესებულებას ეჭირა.

5. ამ ბიბლიოთეკის შექმნას ასეთი ისტორია აქვს:

1846 წელს, მეფისნაცვლის კანცელარიის ბიბლიოთეკის საფუძველზე, რომელშიც დ. ყიფიანის ხელმძღვანელობით შექმნილი წიგნადი ფონდიც შედიოდა, დაარსდა თბილისის საჯარო ბიბლიოთეკა. ეს ბიბლიოთეკა 1852 წელს ვახტანგ ორბელიანის მიერ ახლად აგებულ შენობაში გადაიტანეს, ხოლო 1871 წლიდან მას დაეთმო შედარებით უფრო დიდი და კეთილმოწყობილი შენობა. მართალია, ფონდების შესავსებად და გასაძლიერებლად სახელმწიფოს თანხები არ გაუღია, მაგრამ საქველმოქმედო შემოწირულებათა გზით ეს ბიბლიოთეკა თავის დროისათვის თვალსაჩინო კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებად გვევლინება.

ბიბლიოთეკის ისტორიაში, ისევე როგორც ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, ძირეული შემობრუნება დაიწყო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან.

1928 წელს, ჩვენი რესპუბლიკის მთავრობის 30 მაისის დადგენილებით, თბილისში დაარსდა საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა, რომლის წიგნადმა ფონდმა ინტენსიური ზრდა დაიწყო ნაციონალიზებული ფონდებისა და ძვირფასი კოლექციების შემომატებით. ბიბლიოთეკას ჯერ ახლანდელი პიონერთა სასახლე ეკავა, შემდეგ კი ყოფილი სამხედრო ტაძარი, რომელიც იდგა სწორედ იმ ადგილას, სადაც ამჟამად მთავრობის სასახლის გრანდიოზული ნაგებობაა აღმართული.

1929 წლიდან ბიბლიოთეკა კეცხოველის ქუჩაზე მდებარე შენობის პირველ კორპუსში გადაიტანეს, 1931 წლის 25 თებერვლიდან კი ბიბლიოთეკას საზეიმო ვითარებაში გადაეცა მთელი ეს შენობა, დიდი და კეთილმოწყობილი დარბაზებით.

ამჟამად, კარლ მარქსის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა 8 მილიონამდე წიგნს იტევს.

აქ მსოფლიოს ყოველი კუთხიდან განუწყვეტლივ მოედინება nაირ-ნაირი ლიტერატურა. რა წიგნს არ შეხვდებით, რაღა არ ინახება აქ კაცობრიობის გონებრივი საგანძურიდან!

ბიბლიოთეკაში არიან „ხნიერი“ და „ახალგაზრდა“ წიგნები, ისეთებიც, რომლებიც დიდი მოცულობის გამო მარჯვენას გვიმძიმებენ, და ისეთებიც, რომლებიც ჩაის კოვზზე მოთავსდებიან. აქ თქვენ შეხვდებით არა მარტო ახალ, არამედ რომში, მოსკოვსა და ძველ ქართულ სტამბებში დაბეჭდილ უნიკალურ გამოცემებს.

საგანგებო საცავებში ინახება აგრეთვე ძველი ქართული ხელნაწერების იშვიათი კოლექციები.

სწორი პასუხები გამოგზავნეს თბილისის 75-ე საშ. სკოლის X კლ. მოსწავლემ ნელი მახარაძემ, ამავე სკოლის XI კლ. მოსწავლემ ნანა ჩაჩუამ, თბილისის მე-10 საშ. სკოლის VIII კლ. მოსწავლეებმა გიორგი მეტრეველმა და მანანა გოგინაშვილმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჟურნალ „პიონერში“ 1965 წელს გამოქვეყნებული მასალების საძიებელი

## პროზა

**გ. სანდირაძე** — საახალწლო ზღაპარი ანუ... (მოთხრობა), № 1, არჩევანი (მოთხრობა), № 11.

**გ. გელაშვილი** — პაპა, დოქი, გუნდა (მოთხრობები), № 1, შუა რუ, ვაცი (მოთხრობები), № 10.

**ა. მანდაჯიევი** — სიმამაცე (მოთხრობა, თარგმნა რ. მჭედლიშვილმა), № 1.

**ნ. დოლიძე** — ამბავი გოგია ბიჭისა (მოთხრობა), № 2.

**ტ. ტესი** — თეთრი ქვა (მოთხრობა), № 2.

**გ. კეშელმაძე** — ლურჯი ზღვის პირას (მოთხრობა), № 2, 3.

**ვ. კახაძე** — ბეწვის ხიდი (მოთხრობა), № 2.

**თ. ჩიხლაძე** — კასიმი (ნამდვილი ამბავი), № 3.

**შ. როყვა** — სჭირდება ქვეყანას (მოთხრობა), № 3.

**ზ. ვოსკრესენსკაია** — დედის გული (მოთხრობა, თარგმნა ს. ბეჩოელმა), № 4.

**ა. ართილაყვა** — შერიგება (მოთხრობა), № 4.

**ო. სადრაძე** — გაუკვალავი გზებით (ფანტასტიკური მოთხრობა), № 5, 6, 7.

**მ. ლებანიძე** — წერილები ჩემი კოშკებიდან (მოთხრობა), № 5.

**ნ. ხუნდაძე** — ბიჭები (მოთხრობა), № 5.

**ო. ტიხომიროვი** — ჯადოქარი (მოთხრობა, თარგმნა მ. თავბერიძემ), № 6.

**კ. კობერიძე** — მე და ჩემი ექვსი დანაშაული (მოთხრობა), № 7.

**დ. ასკურავა** — წუხილი (მოთხრობა), № 7.

**კ. დევდარიანი** — თვალებს ახალი შუქი ჩაუდგა (მოთხრობა), № 8, 9, 10.

**რ. ქორქია** — ოთხყურა (მოთხრობა), № 8.

**ნ. კალმა** — გამოქცევა (მოთხრობა, თარგმნა ბ. მირცხულავამ), № 8.

**ნ. ბეზარაშვილი** — მეეტლე დათა (მოთხრობა), № 9.

**ა. სოტნიკი** — კინოქრონიკა (მოთხრობა), თარგმნა ე. თვარაძემ), № 9.

**გ. ფოსტერი** — ამადეო და წვერებიანი კაცი (მოთხრობა, თარგმნა თ. ღლონტმა), № 10.

**ე. სეტონ-ტომპსონი** — დათუნია ჯონი (მოთხრობა, თარგმნეს ნ. მიშველაძემ და ლ. მრელაშვილმა), № 11.

**ც. მესტიაშვილი** — სიტყვა სიტყვაა (მოთხრობა), № 11.

**ლ. ფრუიძე** — ცხრაციხეთის ლეგენდა (მოთხრობა), № 12.

ეზოპეს იგავ-არაკები (თარგმნა გ. სარიშვილმა), № 12.

## პოეზია

**მ. მრევლიშვილი** — *** (...მზის რაშებმა მოაშურეს), № 1.

**.შ შუბლაძე** — ნაინატრი დგას ზამთარი № 1.

**ს. მიხალკოვი** — საახალწლო (თარგმნა შ. ამირანაშვილმა), № 1, 36 და 5 (თარგმნა ა. ონელმა), № 7.

**ჯ. ჩარკვიანი** — სათებერვლო, № 2, საგურამოსკენ, № 7.

**მ. ბარათაშვილი** — დგას ქართვლის დედა, № 3.

**მ. კახიძე** — შენი კალთიდან ავფრინდი, № 3.

**ფ. იანაკოპულუ** — ამღერდნენ ნაკადულები (თარგმნა გ. კაკაბაძემ), № 3.

**გ. ჭიჭინაძე** — ციცქნა იას დღეობა (პიესა), № 3.

**ზ. ბოლქვაძე** — არის ასეთი ნახატი, № 4.

**ტ. მებურიშვილი** — ზეცა ბრწყინავს, № 4.

**გ. ძნელაძე** — მაისია, მაისი! № 5, რთველში, № 10.

**ჯ. ნიქაბაძე** — 9 მაისი, № 5.

**ს. ზამფრიანი** — იყოს ცა წყნარი, № 6, რა კარგია, № 12.

**მარიჯანი** — პიონერებს, № 6.

**გ. კაჭახიძე** — ის მშობლიური მიდამო, № 6.

**გ გიგაური** — ლაშქრული, № 6, შემოდგომა, № 11.

**ნ. შამანაძე** — პირველი ნადირობა, № 7.

**ა. ბარტო** — ვინ არის ლამაზი და ვინ არა (თარგმნა ა. ონელმა), № 7.

**მ. ფოცხიშვილი** — პიონერული რწმენის ბალადა, № 8.

**ი. არაბული** — ჩემი ბილიკები, № 8.

**ნ. კილასონია** — *** (...მოვიარე საქართველო), № 9. ვის უხარია ახალი წელი, № 12.

**ე. ბართაია** — საყვარელო სამშობლო, № 9.

**გ. წერეთელი** — ქვეყანაზე დავრჩით ძეგლად, № 10.

**ე. კვიტაიშვილი** — მშვიდობისა და სიცოცხლის დღეა, № 11.

**მ. შილდელი** — ხეჭეჭური და გულაბი (იგავი), № 10.

**ნ. კინჩევი** — ქარი (თარგმნა კ. გოგიაშვილმა), № 12.

## პიონერული ცხოვრება

**მ. კვარაცხელია** — როცა თოჯინები ცოცხლდებიან (ნარკვევი), № 1.

**ნ. კერესელიძე** — პირდაპირი თუ უხეში? (ნამდვილი ამბავი), № 1.

**თ. ცაგარელი** — № 555 (ნარკვევი), № 2, ახალ სკოლას ვაშენებთ (ნარკვევი), № 9, რეპორტაჟი ქუთაისის პიონერთა სასახლიდან, № 7.

ყურადღება, ვაცხადებთ კონკურსს! (რედაქციის მიერ გამოცხადებული ბავშვთა შემოქმედების კონკურსის პირობები), № 2.

**ზ. ორბელი** — მძღოლის ნაამბობი (წერილი), № 2.

**ნ. მგელაძე** — შვიდფერი, როგორც ცისარტყელა (ნარკვევი), № 4. ქვეყნის საკეთილდღეოდ (ნარკვევი), № 11.

**ნ. ნორაკიძე** — გაიმარჯვა „აისმა“ (ნარკვევი), № 3, იკაშკაშეთ, ლენინურო ვარსკვლავებო! (ნარკვევი), № 6.

**გ. მესხიშვილი** — სწამთ, სჯერათ (ნარკვევი), № 5, ჩვენი მეტრო (ნარკვევი), № 10.

გამოცდები (ფოტორეპორტაჟი), № 7.

**გ. ძნელაძე** — მზეო, ამოდი, ამოდი! (ფოტორეპორტაჟი), № 8.

**ნ. კილასონია** — ჩვენი სოფლის პიონერები (ნარკვევი), № 8.

**ლ. თაბუკაშვილი** — ბავშვთა ნამუშევრების პირველი რესპუბლიკური გამოფენა (წერილი), № 9.

**მ. ხერგიანი** — თაობიდან თაობამდე (ნარკვევი), № 10.

**ა. ხომერიკი** — გინახავთ ჩემი სოფელი? (ნარკვევი), № 11.

ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო პიონერთა ორგანიზაციის ცენტრალური საბჭოს მიმართვა, № 11.

**ნ. ლეკვეიშვილი** — ცხრა მთა გადავიარეთ — (დღიურიდან), № 12.

## ლიტერატურა, ხელოვნება, ისტორია, ტექნიკა, მეცნიერება, სპორტი.


მ. კობიძე — ბელადის სახე დაჰნათის ქალაქს (წერილი), № 1.
კ. ჟუკოვსკი — მგელბიჭა (ნამდვილი ამბავი), № 1.
შ. ქველიაშვილი — ტოკიოში, ოლიმპიადაზე... (მონაწილის შთაბეჭდილება), № 1.
მ. ვადბოლსკი — ქართული ისტორიული ძეგლების სიმბოლური დეკორი (წერილი), № 2.
ზ. შერეზადაშვილი — დიფტი გორავს (თამაშობები), № 2, წრებურთი (თამაშობები), № 8.
თ. გიორგაძე — ორი ლამაზი პარტია (წერილი), № 2.
ჯ. ნადირაძე — სამარყანდი — ბუხარა (წერილი), № 4.
შ. გოგიძე — „ბუტირის ხუტორის“ სტუმარი (წერილი), № 4.
ვ. გეგუჩაძე — ლომონოსოვი (წერილი), № 4.
კ. ლორთქიფანიძის დაბადების 60 წლისთავი, № 5.
გ. შატბერაშვილი (ნეკროლოგი), № 5.
ვ. მაჭავარიანი — გმირი ქვეყანა (ტურისტის ჩანაწერი), № 5.
ნ. ჯაში — დიადი გამარჯვება (წერილი), № 5.
ა. უშვერიძე — ინდონეზია (ფოტონარკვევი), № 6.
ვ. სიდამონიძე — თედორე კველთელი (წერილი), № 2, გმირობა არაგვის ხეობაში (წერილი), № 6, დიდი პედაგოგის ცხოვრებიდან (წერილი), № 10.
ჯ. ნინუა — ფრთხილად, აქ ბავშვები ცხოვრობენ (ნარკვევი), № 6.
ს. სხირტლაძე — ჩვენი სიამაყე (ვაჟა-ფშაველას გარდაცვალების 50 წლისთავი), № 8.
თ. სამსონაძე — კუბა, მექსიკა (მხატვრის ჩანახატები), № 8.
მოსე თოიძე (წერილი), № 8.
ვ. ვარდოსანიძე — ბავშვების დიდი მეგობარი (ი. გოგებაშვილის დაბადების 125 წლისთავი), № 10.
ბუმერანგი (ხელმარჯვეთა დასახმარებლად), № 5.
მშვილდისარი (ხელმარჯვეთა დასახმარებლად), № 8.
შ. გოგატიშვილი — ქვეყნად ათასი ქარია (წერილი), № 10.
ა. ჩხარტიშვილი — ალექსანდრე მრევლიშვილი (წერილი), № 10.
ვ. ბუაჩიძე — ზემო ალაზნის არხი (წერილი), № 9.
იოსებ გრიშაშვილი (ნეკროლოგი), № 9.
რ. ქორქია — აკაკის იუბილე ფოთში (მოგონება), № 12.
ა. ივარდელი — ზოოპარკში (წერილი), № 12.
გიგო გაბაშვილი (წერილი), № 12.



ეროვნული ბიბლიოთეკა


## ესთეტიკური აღზრდის კლუბი


შ. ამირანაშვილი — ქართული ხელოვნების საგანძური, № 1.
ფ. ბერიძე — ოცნებით სავსე დარბაზი, № 2.
ვ. ჯაფარიძე — პეიზაჟური ფერწერა, № 3.
ლ. შანიძე — პორტრეტი, № 4.
ნ. გურაბანიძე — თეატრალური ხელოვნება, № 5, ქართული თეატრი, № 10, 11, 12.
ა. ვასაძე — მსახიობი, № 6.
მ. ფიჩხაძე — თეატრში ჯადოსნური ჰანგები ჟღერს, № 7.
ო. რემეზი — რას აკეთებს რეჟისორი, № 8, 9.
ლ. იოსელიანი — სრულიად განსაკუთრებული პროფესია, № 9.


## განყოფილებები:


ჯადოსნური სარკე — № 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12.
ოქროს საწმისი — № 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12.
თავშესაქცევი — № 2, 4, 6, 7, 8, 9, 10, 12.
ადგილთა ვინაობა — № 1.
იუმორი — № 1, 3, 5, 7, 8, 9, 10, 11.
სახალისო ქიმია — № 1, 2, 3, 4, 10.
იცნობ თუ არა შენს მშობლიურ მხარეს? — № 1, 2, 4, 6, 9, 12.
ბუნების კარი — № 2, 3, 4, 5, 7, 8, 9, 10, 11.
ახალი წიგნები — № 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12.
გამოცადეები — № 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12.
სტუმრად ჩვენს რედაქციაში — აზერბაიჯანული ჟურნალი „პიონერი“ — № 4, იტალიურ გაზეთ „უნიტას“ დამატება „ილ პიონიერე“, № 12.
სახალისო ფიზიკა — № 5, 6, 7, 8.
თურმე — № 4, 6, 7, 8, 9, 10, 11.
პიონერული კაბადონი — № 6, 9, 12.
კირკიტი კაკლები — № 4, 7, 10.
საინტერესო თემაზე — № 8.



გარეკანის 1-ლი გვერდის მხატვრობა — თენგიზ სამსონაძისა.

რედაქტორი ბაბულია შელია.



სარედაქციო კოლეგია: ფილიპე ბერიძე, შოთა გაგელაია, ნოდარ გურაბანიძე, ჯუანშერ ქვარაცხელია, სერგო კლდიაშვილი, მურმან ლებანიძე, ზურაბ ლეჟავაშელი (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, თენგიზ სამსონაძე, გაიოზ ფოცხიშვილი (სამხატვრო რედ.).



ჩვენი მისამართი: თბილისი, პლეხანოვის 91
ტელეფონები: რედაქტორის—5-17-76
საერთო—5-07-43



„ПИОНЕРИ“, На грузинском языке. Адрес редакции: Тбилиси, пр. Плеханова, 91.
გამომცემლობა «ნაკადული». უე 03487 ტირ. 35.000. პირ. ფორ. რაოდ. $4^{1}/_{2}$, ფიზ. ფორ. რაოდ. 2.
ხელმოწერ. დასაბ. 25/XI-65 წ. სტამბის შეკვ. 3723. გამომც. შეკვ. 2093. საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა № 1
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

ფასი 20 კაპიკი



ჭიდაობა

# ტიტო ტაბაშვილი

ხევსური სადარაჯოზე



ტივებზე



ИНДЕКС 76157

# ნახატი — ხუმრობით

ეროვნული ბიბლიოთეკა
















დემოკრატიული ქვეყნების საბავშვო ჟურნალებიდან.